

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

(47.93)06

2-42

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

2.1985

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР


147.93/06
2-42

ეკონომიკისა და
სამართლის
სერია

252343

СЕРИЯ
ЭКОНОМИКИ И
ПРАВА

ჟურნალი დაარსებულია 1980 წელს
Журнал основан в 1980 году
გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца



1985 N 2

გამომცემლობა „მეცნიერება“
ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»

თბილისი
ТБИЛИСИ



სარედაქციო კოლეჯია: ა. გუნია (რედაქტორი), ო. გამყრელიძე, მ. გველესიანი, პ. გუგუშვილი, გ. თოდუა, თ. ლილუაშვილი, გ. ნადარეიშვილი, ი. ფუტყარაძე, თ. შავგულიძე (რედაქტორის მოადგილე), თ. ჩიკვაძე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჩიქავა.

პასუხისმგებელი მდივანი ა. შენგელია.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Гунья А. Л. (редактор), Гамк्रेлидзе О. К., Гвелесиани М. И., Гугушвили П. В., Тодуа Г. С., Лилуашвили Т. С., Надарейшвили Г. Н., Путқарадзе Я. В., Чикава Л. Л., Чикваидзе Т. Н. (зам. редактора), Шавгулидзе Т. Г. (зам. редактора).

Ответственный секретарь А. Л. Шенгелия.

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე“,
ეკონომიკისა და საზოგადოების სერია, 1985, № 2

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380007, მახარაძის ქ. № 14
Адрес редакции: Тбилиси, 380007, ул. Махарадзе, 14

ტელეფონი 93-22-60 телефон

გადაეცა წარმოებას 29.5.85; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.08.85; შუკვ. № 1860; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; მაღალი ბეჭდვა; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 8,4; პირ. საღ. გატარება 8,7; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5; უფ 05305; ტირაჟი 1109;

ფასი 85 კაპ.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შ ი ნ ა ა რ ს ი

ეკონომიკა

ბ. წარმოქმნილი, წარმოების განვითარება-განლაგებისა და გარემოს დაცვის მდგომარეობის მახასიათებელთა პროგნოზირების ადგილი ამ სფეროების ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირების დაგეგმვაში	5
რ. ხარაზი, სოციალისტური პირადი საკუთრების სოციალურ-ეკონომიკური არსი	15
ა. იოსელიანი, ა. ბაბუნაძე, საქართველო — ეკონომიკური ექსპერიმენტების პოლიგონი	26
ბ. ერომაიშვილი, გამოგონებებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის სტიმულირება	32
ბ. ბერიძე, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი	41
ზ. მურჯიანი, პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები საქართველოს სსრ მინერალური წყლების წარმოებაში	51
ბ. სტეპანიშვილი, მებოსტნეობის განვითარება საბჭოთამდელ საქართველოში	57
ბ. დუმბაძე, წარმოების ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის შეფასების საკითხისათვის	65

სამართალი

თ. ებრაღიძე, არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის საკანონმდებლო რეგლამენტაციის გამო	80
დ. მელიქიშვილი, სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო-საძიებო და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების ეკონომიკური სტიმულირების სამეურნეო ანგარიშიან სისტემაზე გადაყვანის სამართლებრივი საკითხები	82
ბ. კვირიკაშვილი, მუქთახორობის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი საქართველოს სსრ მასალების მიხედვით	87

СО Д Е Р Ж А Н И Е

ЭКОНОМИКА

Г. Ш. Цертели, Место прогнозирования показателей развития и размещения производства и состояние охраны окружающей природной среды в планировании взаимосвязанного функционирования этих сфер	5
Р. А. Харazi, Социально-экономическая сущность социалистической личной собственности	15
К. А. Иоселиани, А. Л. Бабухадия, Грузия — полигон экономических экспериментов	26
Г. Г. Еркомаишвили, Стимулирование внедрения изобретений и рационализаторских предложений	32
Т. А. Беридзе, Некоторые вопросы совершенствования хозяйственного механизма развитого социалистического общества	41
Ш. М. Мурджикнели, Себестоимость продукции и пути её снижения в производстве минеральных вод Грузинской ССР	51
Г. А. Степанишвили, Развитие овощеводства в досоветской Грузии	57
Г. В. Думбадзе, К вопросу о разработке интегрального показателя эффективности производства	65

ПРАВО

Т. Р. Эбралидзе, О законодательной регламентации вовлечения несовершеннолетних в преступную деятельность	80
Д. Ю. Меликишвили, Правовые вопросы перевода научно-исследовательских, проектно-изыскательских и других строительных организаций на хозрасчётную систему экономического стимулирования	82
Б. И. Квирикашвили, Некоторые результаты конкретно-криминологического исследования туеядства по материалам ГССР	87

პირობი წარმართი

წარმოების განვითარება-განლაგებისა და გარემოს დაცვის
მდგომარეობის მახასიათებელთა პროგნოზირების ადგილი ამ
სფეროების ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირების დაგეგმვაში

1. საწარმოო ძალთა ტერიტორიული ორგანიზაციის მეთოდოლოგიური სა- კითხები

სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო ძალთა ტერიტორიული ორგანიზაციის მეთოდოლოგიური საკითხების სრულყოფასა და მასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პრობლემების შესწავლა და დამუშავება ყოველთვის წარმოადგენდა საბჭოთა საზოგადოების გადაუდებელი ეკონომიკური ამოცანების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილს.

საწარმოო ძალთა ტერიტორიული ორგანიზაციის საკითხებმა თავიანთი ასახვა პპოვეს სკვპ ცვ-ისა და საბჭოთა მთავრობის მრავალ დადგენილებასა და გადაწყვეტილებაში, რომელიც წარმოადგენს მრეწველობის განლაგების შესახებ ლენინისეული ფუძემდებლური იდეების შემოქმედებით განვითარებასა და კონკრეტინაციას. ამ გადაწყვეტილებების მთავარი მიზანი ყოველთვის გულისხმობდა და გულისხმობს წარმოების ყველა სტადიაზე (ნედლეულის მოპოვებიდან საბოლოო პროდუქციის წარმოებამდე) შრომის მინიმალური დანაკარგების უზრუნველყოფას. მათში საწარმოო ძალთა გეგმაზომიერი განლაგება ყოველთვის განიხილებოდა როგორც სოციალისტური ეკონომიკის რაციონალური ორგანიზაციის, ბუნებრივი სიმდიდრის ეფექტური გამოყენების და საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

საწარმოო ძალთა განლაგების ძირითადი პრინციპების დამუშავება სოციალისტური დროს ატარებს სპეციფიკურ ხასიათს, რაც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია სოციალისტური მშენებლობის მიზნებთან, ქვეყნის მთლიანი ტერიტორიისა და რეგიონების ბუნებრივ-ისტორიული სახესხვაობის სიმკვეთრესთან. ამ ნიშნების გათვალისწინებით საწარმოო ძალთა განლაგების ძირითადი პრინციპი ჩვენს ქვეყანაში ჩამოყალიბებული იქნა მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, მრეწველობის ნედლეულის წყაროებთან და პროდუქციის მოხმარების რაიონებთან მიახლოების უზრუნველყოფის სახით. გარდა ამისა მას ემატებოდა ისეთი პრინციპი, როგორცაა, მთელი ქვეყნის ს/მ-ის უზრუნველყოფის შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობათა ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენების, ქალაქისა და სო-

ფელს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული დისპროპორციების თანდათანობითი აღმოფხვრისა და სსრკ-ის ეკონომიკური დამოუკიდებლობისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების გზით.

საწარმოო ძალთა განლაგებამ, რომელიც ძირითადად ემყარებოდა ზემოთ აღნიშნულ პრინციპებს, დიდი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ განვითარებასა და მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცებაში. საწარმოო ძალთა განლაგების სფეროში პარტიის პოლიტიკამ გაუძლო დროთა მიერ ჩატარებულ ყოველგვარ გამოცდას და დღეს გვევლინება კიდევ უფრო ახლებურად ჩამოყალიბებული და დაკონკრეტებული ამოცანების სახით.

დღესათვის წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებები (განსაზღვრული სკკპ XXVI ყრილობის მიერ) მდგომარეობს იმაში, რომ „უზრუნველვეყნოთ საწარმოო ძალების უკეთ განლაგება იმ მიზნით, რომ ავამაღლოთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში მოკავშირე რესპუბლიკებისა და ეკონომიკური რაიონების მეურნეობის შემდგომი სპეციალიზაციისა და პროპორციული განვითარების საფუძველზე“¹.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური წარმოების და არასაწარმოო სფეროს დარგების განლაგების საქმეში არსებული საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკა დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი პირველხარისხოვანი სოციალური პრობლემების გადაჭრაში როგორცაა:

ქვეყნის სხვადასხვა რაიონების მოსახლეობის ცხოვრების ღონის გათანაბრება;

რეგიონალური მეურნეობის განვითარება ხალხის ცხოვრების ხასიათის სპეციფიკურობისა და ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებით;

ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიის მიხედვით დასახლების სისტემის სრულყოფა;

ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული ღონისძიებების რეალიზაცია.

თანამედროვე ეტაპზე, როცა შეუღარებლად გაიზარდა საზოგადოებრივი განვითარების სოციალური ფაქტორების მნიშვნელობა, საწარმოო ძალთა ტერიტორიული ორგანიზაციის საქმეში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფას.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს ქვეყანაში არსებული საწარმოო ძალთა განვითარებისა და ტერიტორიული ორგანიზაციის ტრადიციული მეთოდოლოგიური საფუძვლები მოითხოვს სრულყოფას. კერძოდ, დღესათვის საწარმოო ძალთა განვითარება და ტერიტორიული ორგანიზაცია საჭიროებს მისდამი არა მარტო ეკონომიკურ მიდგომას, არამედ ეკოლოგიურსაც.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარება, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალი ტემპები სუამენ საწარმოო ძალთა სწრაფი ზრდის პრობლემას ბუნების პარმონიულ განვითარებასთან ერთად და თანდათან ართულებენ ეკოლოგიური-ეკონომიკურ სისტემაში არსებული ოპტიმიზაციური ამოცანების ხასიათს.

წარმოებისა და საწარმოო ძალთა განვითარება სოციალური საზოგადოების

¹ სკკპ XXVI ყრილობის მასალები: თბ., საბჭოთა საქართველო, 1981, გვ. 278.



არსებობის თანამედროვე ეტაპზე მოითხოვს ამ პროცესში ეკოლოგიური პრინციპებისა და ფაქტორების აუცილებელ გათვალისწინებას და ყოველად დაუშვებელია საწარმოო ძალების განვითარების და ბუნების დაცვის საკითხთა საპირისპიროდ დაყენება. საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარება წარმოუდგენელია მისი ეკოლოგიური გაანალიზებისა და ყველა რგოლის ეკოლოგიზაციის გარეშე. ეს პროცესი განუყრელად არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან და წარმოადგენს მის აუცილებელ მოთხოვნას.

წარმოების ეკოლოგიზაცია წარმოადგენს მრავალეტაპურ პროცესს. მის საწყის საფეხურზე დგას მხოლოდ წარმოების ღია მოდელის გაუმჯობესების საკითხი ტექნოლოგიური ხერხების სრულყოფის გათვალისწინებით. წარმოების ეკოლოგიზაციის შემდგომი განვითარება ითვალისწინებს მცირენარჩენებიანი და ჩაკეტოლი ტექნოლოგიის დანერგვას, ერთი საწარმოს ნარჩენების სხვათა მიერ გამოყენების ორგანიზაციას. ხოლო ეკოლოგიზაციის უმაღლესი საფეხური კი გულისხმობს კომპლექსური უნარჩენო წარმოების სისტემათა ერთობლიობის შექმნას.

საზოგადოებრივი წარმოების ეკოლოგიზაცია მდგომარეობს არა მარტო მცირენარჩენებიანი ან უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვაში, არამედ სამეურნეო ანგარიშისათვის ურთიერთობათა დაგეგმვის მთელი სისტემის შექმნაშიც.

დღეისათვის საწარმოო სისტემის ჩარჩოში ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტა, უპირველს ყოვლისა, დაკავშირებულია შემდეგი ორი მიმართულების სრულყოფასთან:

- ა) ბუნებრივი რესურსების ეკონომიური, კომპლექსური გამოყენება;
- ბ) სამეურნეო სფეროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შეზღუდვა

და ლიკვიდაცია;

ამ მიმართულებებთან დაკავშირებული პრობლემების წარმატებით გადაჭრას გააჩნია უდიდესი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის ხელს უწყობს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობისა და ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან ამაღლებას.

წარმოების ეკოლოგიზაციის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრა იწვევს ეკონომიკურ გათვლებში სამეურნეო საქმიანობის შედეგად გარემოზე ზემოქმედებით გამოწვეული ზარალის გათვალისწინების აუცილებლობას.

ამ ახალი მაჩვენებლის ეკონომიკური აზრი უმარტივესი სახით შეიძლება ნაჩვენები იქნას კაპიტალდაბანდებების ეფექტურობის კოეფიციენტის განმსაზღვრელ ფორმულაში მისი გათვალისწინებით. ამ ფორმულას აქვს ასეთი სახე:

$$E_{\Phi} = \frac{S_1 - S_2 + V}{K_2 - K_1} \geq E_H$$

სადაც

S_1 და S_2 — არის ბუნების დაცვითი ტექნიკის ექსპლუატაციაზე გაწეული დანახარჯები შესაბამისად საბაზისო და ახალი ვარიანტებისათვის;

k_1 და k_2 — არის შესაბამისი კაპიტალდაბანდებები;

V — გაუვნებელყოფილი ზარალი, რომელსაც იწვევს ახალი ეკოლოგიზირებული ტექნოლოგიის დანერგვა;

E_H და E_{Φ} — შესაბამისად არის ბუნების დაცვაზე გაწეული დამატებითი კა-

პიტლდაბანდებების ეკონომიკური ეფექტურობის ნორმალური და ფაქტიური კოეფიციენტები;

გარემოს დაცვითი ღონისძიებების დასაბუთების, ან კიდევ კომპლექსური ხასიათის სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების დროს ეფექტურობის ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს ისეთი დაყვანილი დანახარჯების მინიმიზაცია, რომელშიც ასახულია გარემოზე ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალი:

$$S_i + E_H K_i + V_i = \text{min}$$

სადაც K_i — არის კაპიტლდაბანდების მაჩვენებელი i — ური ვარიანტის მიხედვით;

S_i — მიმდინარე დანახარჯები i — ური ვარიანტის მიხედვით;

V_i — ზარალი (ღირებულებით ფორმაში) i — ური ვარიანტის მიხედვით.

ამრიგად ცხადია, რომ გარემოს მდგომარეობის ხარისხის გაუარესების შედეგად საზოგადოებისათვის მიყენებული ზარალის შემცირება ტოლფასოვანია სახალხო მეურნეობრივი ეფექტურობის ამაღლებსა.

ეკონომიკური ზარალის ზემოთ ნახსენები მაჩვენებელი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბუნებრივ სფეროში ეკოლოგიური წონასწორობის დაცვის ან აღდგენისათვის საჭირო დანახარჯებთან, არა მარტო უახლოესი, არამედ იმ „მორეული“ ზარალის გათვალისწინებით, რომელსაც გამოიწვევს მომავალში გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების დღევანდელი ფაქტები. ზარალის ეს სახე წარმოადგენს ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების ეფექტურობის განსაზღვრის დროს საჭირო ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს. ეკონომიკური ზარალის ამ მაჩვენებლის გათვლა და გაუწებელყოფა იძლევა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და გარემოს დაცვის მასტიმულირებელ საშუალებებს, რაც საბოლოო ჯამში, ბუნებრივია აღსახება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში.

ზემოთ აღნიშნული და გაანალიზებული საკითხებიდან შეიძლება ხაზი გაესვას შემდეგ გარემოებებს:

— საწარმოო ძალების განვითარებისა და ტერიტორიული ორგანიზაციისადმი ეკოლოგიურ-ეკონომიკური მიდგომის მეთოდოლოგიური პრინციპები ემყარება საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთზემოქმედების მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას. ბუნებათსარგებლობის პროცესების ეფექტური მართვისათვის საჭირო შესაძლებლობებს ფლობს მხოლოდ ისეთი საზოგადოება, რომელიც მოკლებულია კლასობრივ ანტაგონიზმს (მაგ. სოციალისტური საზოგადოება).

— ბუნებათსარგებლობის სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების ქმედითობა დიდად არის დამოკიდებული ეკოლოგიურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტასთან მიდგომის კომპლექსურობის ხარისხზე;

— საწარმოო ძალების განვითარება არ შეიძლება დაპირისპირებული იქნას გარემოს დაცვის საკითხებთან, მაგრამ საზოგადოებრივი წარმოების შემდგომი განვითარება შეუძლებელია მისი ეკოლოგიზაციის გარეშე. ეკოლოგიზაციის პროცესი გულისხმობს ტექნოლოგიური, მართვის და სხვა ისეთი გადაწყვეტილებების სისტემის დანერგვის თანმიმდევრობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტურობასა და გარემოს მდგომარეობის ხარისხის გაუმჯობესებას;

— წარმოების ეკოლოგიური გარდაქმნის აუცილებელ პირობას წარმოადგენს დაგეგმვისა და წინასავეგმო გამოკვლევების ეკოლოგიზაცია (დასაგეგმი ობიექტის ყველა დონეზე), ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით შეთოდების სრულყოფა.

2. გარემოს სისუფთავის დაცვა — როგორც რეგიონალური დაგეგმვის ობიექტი

გარემოს სისუფთავის დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონალური ნაწილების გამოყოფისა და მისი ცალ-ცალკე შესწავლის პრინციპებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ გარემოს გაქუქყიანების ნეგატიური შედეგები ყველაზე უფრო მეტად მუდავდება რეგიონალურ დონეზე და ბუნების მდგომარეობის ხარისხი განისაზღვრება ტერიტორიალურ კუთხეში. ამასთან დაკავშირებით საზოგადოებისა და გარემოს ურთიერთქმედების ოპტიმიზაციის პრობლემას გააჩნია წმინდა რეგიონალური ხასიათი, ამ პრობლემის გადაჭრა წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კონკრეტული სოციალური ამოცანების გადაწყვეტისათვის და გვევლინება როგორც სხვადასხვა რეგიონებში მატერიალური სამეურნეო განვითარებისა და განლაგების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს სისუფთავის დაცვის პრობლემების რაციონალური ორგანიზაცია, სწორი შესწავლა და გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ისეთი კომპლექსური დარგთაშორისი მიდგომის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს რეგიონის ბუნებრივ და სოციალურ-ეკონომიკურ ნიშნებსა და მოთხოვნებს.

ცნობილია, რომ რეგიონის ბუნებრივი გარემო განიცდის ზემოქმედებას სხვადასხვა დარგებისა და ობიექტების მიერ, რომლებიც განლაგებული არიან როგორც მისი ტერიტორიის შიგნით, ასევე ნაწილობრივ მის ფარგლებს გარეთაც. ამასთანავე ამ ზემოქმედების შედეგები ატარებენ მრავალფეროვან ხასიათს და ეხებიან რეგიონის ცხოვრების ყველა მხარეს. აქედან გამომდინარეობს რაციონალური ბუნებათსარგებლობის და გარემოს სისუფთავის ხარისხის ვალუმობების წინასწარი დაგეგმვის აუცილებლობა. ე. ი. ეს იმას მოწმობს, რომ რეგიონალურ (ტერიტორიალურ) დაგეგმვაში წარმოიშვა ახალი მიმართულება-ეკოლოგიური:

დაგეგმვის ეკოლოგიური ნაწილისათვის, ისე როგორც ტერიტორიული დაგეგმვის მთლიანი სისტემისათვის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს მათი კომპლექსურობა. კომპლექსურობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ვლინდება იმაში, რომ ბუნებრივი გარემო შედგება არა იზოლირებული, არამედ ერთმანეთში მჭიდროდ დაკავშირებული ელემენტებისაგან და ურთიერთ შემავსებელი რესურსებისა და პირობების რეგიონალური ერთობლიობისაგან.

კომპლექსური ეკოლოგიურ-ეკონომიკური მიდგომა იძლევა საშუალებას სწორად განისაზღვროს ტერიტორიალური ეკოლოგიური ანალიზისა და დაგეგმვის იმ მნიშვნელოვანი ამოცანის ხასიათი, რომელიც მდგომარეობს რეგიონის ეკოლოგიური სისტემის წონასწორობის შენარჩუნების, პრობლემების საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების საკითხებთან დაკავშირებაში.

ეკოლოგიური დაგეგმვის სპეციფიკურობა დაკავშირებულია მისი ობიექტის, ბუნებრივი გარემოში მიმდინარე პროცესების თავისებურებებთან. ამიტომ მეურნეობისა და გარემოს ურთიერთქმედების შედეგების შეფასების დროს

ეკოლოგიური დაგეგმვის ეფექტურობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ბუნებრივი ზონალური და არაზონალური ტერიტორიული თავისებურებების სწორი გათვალისწინება. ზონალური და არაზონალური ფაქტორების ერთობლიობა ხელს უწყობს სამეურნეო საქმიანობის შედეგების ხასიათის, დონისა და აგრეთვე მათი ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიებების სწორ განსაზღვრას. ეს უკანასკნელი გამოწვეულია იმით, რომ ბუნებრივი თავისებურებების კომპლექსური გათვალისწინება იძლევა საშუალებას ბუნების დაცვით ღონისძიებებზე სახსრების მაქსიმალური ეფექტურობით განაწილებისათვის. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ შესასწავლი რეგიონის გეოსისტემის ბუნებრივი პოტენციალის დაწვრილებითი ანალიზი და შეფასება წარმოადგენს აუცილებელ ინსტრუმენტს რეგიონის ბუნებათსარგებლობის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

უკანასკნელ წლებში მეტად ფართო გავრცელება მიიღო რეგიონალური ეკოლოგიური ანალიზისა და დაგეგმვის დარგობრივმა ასპექტმა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ტერიტორიალური დაგეგმვის პრაქტიკაში ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და გარემოს დაცვას მეზო და მიკრო დონეზე კიდევ ვერ ექცევა საჭირო ყურადღება.

ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ოლქების, მხარეების და ავტონომიური რესპუბლიკის განვითარების გეგმებში თუმცა ასახულია სხვადასხვა ეკოლოგიურ-ეკონომიკური მაჩვენებლები მაგრამ ისინი სრულად ვერ ახასიათებენ განსახილველი ტერიტორიის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეფექტურობის დონეებს.

არასაკმარისად არის ასახული ტერიტორიალურ დაგეგმვაში აგრეთვე ბუნებათსარგებლობისა და გარემოს რეორგანიზაციის სხვადასხვა მიმართულებები, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულების სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებებთან (მაგ. ურბანიზაციის დონეები, სამეურნეო სტრუქტურის სპეციფიკურობა და ა. შ.) ეს მაშინ, როცა პრობლემის არსი მდგომარეობს არა მარტო გარემოს დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების ხასიათის განსაზღვრაში, არამედ მოცემული რეგიონის საზოგადოებრივი წარმოებისა და გარემოს მდგომარეობას შორის ძველი ურთიერთკავშირების დადგენასა და არსებითად ახალი ფორმების გამოვლენაში.

ცნობილია, რომ რეგიონების კომპლექსური გეგმების ეკოლოგიური დამუშავების ძირითადი ამოცანები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების გამოყენების და გარემოს დაცვის დარგობრივი გეგმების დაკავშირებაში, მოთხოვნებისა და რესურსების ბალანსირებაში, გარემოს დაცვითი ღონისძიებების კრებითი გეგმის შედგენასა და მასში აღვილობრივი ორგანოების მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრაში.

რეგიონალური პროცესების ამსახველი დარგობრივი გეგმების კოორდინაცია გულისხმობს ბუნებრივი რესურსების მომპოვებელი და მომხმარებელი დარგების განვითარებისა და განლაგების კორექტირებას, მინერალური ნედლეულის, წყლის, ტყის და სხვა სახის რესურსების კომპლექსური გამოყენებისათვის საჭირო ღონისძიებებს დამუშავებას და იმ გეგმების შესწორებას, რომლებიც ასახავენ ღონისძიებებს გარემოს სისუფთავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ დღეისათვის ტერიტორიალურ დაგეგმვაში ჯერ კიდევ არასაკმარისად არის ასახული ბუნებრივი გარემოს კომპონენტების მდგომარეობის ამსახველი მაჩვენებლები, მათი ხარისხი



და გარემოს სისფუთავის კომპლექსური სურათი. ამიტომ, ჩვენი აზრით ტერატორიული დაგეგმვის პროცესებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონის ეკოლოგიური ეფექტურობის განსაზღვრის საკითხებს. რეგიონალური ეკოლოგიური ეფექტურობის არსი მქლავნდება წარმოებისა და დასახლების პირობების ხასიათში, ხოლო მისი დონე კი განისაზღვრება გარემოს საცხოვრებელი ხარისხით, ბუნებრივი რესურსების არსებობისა და მოხმარების ბალანსების ხასიათითა და ტერიტორიის გამოყენების ტიპების ურთიერთ შეთავსებით.

ეკოლოგიური ეფექტურობა რეგიონალურ ასპექტში წარმოადგენს მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეფექტურობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

რეგიონალური ეკოლოგიური ეფექტურობის ზომის დასახასიათებლად შეიძლება გამოყენებული იქნას თავიდან ასაცილებელი ზარალის დონის ამსახველი კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს თავიდან ასაცილებელი ზარალის და წარმოებული წმინდა პროდუქციის მაჩვენებელთა შეფარდებით დამოკიდებულებას.

როგორც საეკოლოგიური ლიტერატურის გაცნობიდან ირკვევა, რეგიონის ეკოლოგიური ეფექტურობის მაჩვენებელთა სისტემა უნდა შეიცავდეს არა მარტო აბსოლუტურ მაჩვენებლებს, დამყარებულს ღირებულებით შეფასებებზე (მაგ. ეკოლოგიური დანიშნულების დანახარჯთა ჯამი), არამედ შეფარდებით-საც (მაგ. ეკოლოგიური დანიშნულების დანახარჯთა ხვედრითი წილი წარმოების საერთო დანახარჯებში). გარდა ამისა, რეგიონალური განვითარების ეკოლოგიური ეფექტურობის მთლიანი შეფასება უნდა ასახავდეს უნარჩენო ტექნოლოგიის გამოყენების მასშტაბებს, ხოლო რეგიონის ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისადმი პერსპექტიული მიდგომა და საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთქმედების ოპტიმიზაციის განხორციელება რეგიონალურ დონეზე, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითვალისწინებდეს უნარჩენო წარმოების საერთო სისტემის შექმნის მასტიმულირებელი ღონისძიებების შემუშავებასა და დანერგვას.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, ეკოლოგიური გარდაქმნის დიალექტიკა მდგომარეობს იმაში, რომ გარემოს დაცვისათვის ბრძოლის ძირითად ადგილად გამოყენებული უნდა იყოს ტერიტორიალური გარდაქმნები, რაც უსათუოდ დააჩქარებს სათანადო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მიღებული ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების პროცესს.

3. წარმოების განვითარება — განლაგებისა და გარემოს დაცვის მდგომარეობის მანახიათებელთა პროგნოზირება როგორც ამ სფეროების ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირების დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი.

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საწარმოო ძალთა განვითარება-განლაგების საკითხების დამუშავება, როგორც ეს წინა პარაგრაფებში იყო განხილული, მოითხოვს მასში ეკოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებას. ამიტომ, ბუნებრივია, ისმის წარმოების განვითარება-განლაგებისა და გარემოს დაცვის სფეროების ურთიერთდაკავშირებული ფუნქციონირების დაგეგმვის ამოცანა. ამ უკანასკნელის წარმატებით გადაჭრა კი წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივი ეფექტურობის, ასევე ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების მნიშვნელოვან პირობას.

აღნიშნული ამოცანის სწორი გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციისა და გარემოს დაცვის მდგომარეობის მაჩვენებელთა პროგნოზირებასთან.

ცნობილია, რომ სახალხო მეურნეობრივი დაგეგმვის სისტემაში პროგნოზირება განიხილება, როგორც კონკრეტული გეგმის დამუშავების მეცნიერული საფუძველი. პროგნოზირების ქვეშ იგულისხმება პროცესებისა და მოვლენების მოსალოდნელი განვითარების ალბათური გზებისა და შედეგების გამოვლენა. ამა თუ იმ შესასწავლი ობიექტების მახასიათებელთა პროგნოზირების დროს ხდება პროგნოზების შედგენა. პროგნოზი წარმოადგენს დაგეგმვის პროცესის პირველ რგოლს, მის ისეთ საწყის ეტაპს, რომელიც იძლევა საშუალებას ფორმირებული იქნას აუცილებელი მოქმედებების გრძელვადიანი პროგრამა, მათი მიმართულების, თანამიმდევრობისა და განხორციელების ვადების დადგენის გზით. ზოგადად, პროგნოზი ეს არის ალბათური ხასიათის, მაგრამ მეცნიერულად დასაბუთებული მსჯელობა შესწავლილი ობიექტის სურათის შესახებ. პროგნოზირების ობიექტთა სისტემა წარმოადგენს მრავალეფემენტაან სიმრავლეს. ამ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის პრობლემებთან დაკავშირებულ გრძელვადიან პროგნოზირებას.

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობას გრძელვადიანი პროგნოზი არ წარმოადგენს დირექტიულ დოკუმენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში არ არის ასახული კონკრეტული შემსრულებლებისაქენ მიმართული დავალებები. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი არის უმნიშვნელოვანესი წინასაგეგმო დოკუმენტი (გრძელვადიანი გეგმის შედგენისათვის საჭირო საფუძველი). ამასთან დაკავშირებით ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის პროგნოზი უნდა შეიცავდეს:

— შესასწავლი რეგიონის ბუნებათსარგებლობისა და გარემოს თანამედროვე მდგომარეობის არსებული ტენდენციის დახასიათებას;

— რეგიონის ბუნებათსარგებლობისა და გარემოს ნორმატიული მდგომარეობის მისაღწევად საჭირო პერსპექტიული მიზნების ფორმულირებას;

— რეგიონის ბუნებათსარგებლობის განვითარებისა და გარემოს მდგომარეობის ცვლილების შესაძლებელი მიმართულების დახასიათებას სახალხო მეურნეობის განვითარების პარამეტრების, საკანძო მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემებისა და გარემოს დაცვაზე კაპიტალდაზანდების მასშტაბების გათვალისწინებით;

— რეგიონის ბუნებათსარგებლობის შექმნილი მდგომარეობისა და ტენდენციის შედარებას მათ პერსპექტიულ მიზნებსა და ნორმატიულ მაჩვენებლებთან; ბუნებათსარგებლობის შექმნილი მდგომარეობიდან ნორმატიულზე გადასვლის შესაძლებელი გზების სისწორის დასაბუთებას.

— ბუნებათსარგებლობის საუკეთესო ვარიანტის სოციალურ-ეკონომიკურ შეფასებას ყველა შესაძლო ალტერნატიულ ვარიანტთან შედარებით;

— წინადადებებს ბუნებათსარგებლობის სფეროს კომპლექსური მართვისა და დაგეგმვის მიხედვით.

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გრძელვადიანი პროგნოზის დამუშავების მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ პრინციპს წარმოადგენს პროგნოზირების გენეტიკური და ნორმატიული მეთოდების ურთიერთშეთავსება. პროგნოზირების გენეტიკური მეთოდი მდგომარეობს განვითარების შექმნილი ტენდენციის მომავალ პერიოდზე გავრცელებაში. ხოლო ნორმატიული მეთოდი კი გუ-

ლისხმობს მომავალი მოთხოვნილებების, მიზნების, შესაძლებლობების და ამ მიზნების მიღწევის გზების განსაზღვრას განვითარების არსებული ბაზისის გათვალისწინებით. ნორმატიული მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა იზრდება პროგნოზირების პერიოდის გადიდებით და გვევლინება როგორც დადამყვებელი, საზოგადოებრივი განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი შედეგის პროგნოზირების დროს, როგორცაა ბუნებრივი გარემოს მდგომარეობა.

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის პროგნოზის დამუშავების მეორე მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს პროგნოზირების ვარიანტულობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერულად დასაბუთებული პროგნოზის დამუშავება შეუძლებელია ბუნებათსარგებლობის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის გარეშე. გარემოს მდგომარეობის პროგნოზის დამუშავების დროს განხილული უნდა იყოს შემდეგი ვარიანტები:

— ექსტრაპოლაციური (ბუნებათსარგებლობის წარმომავებული ტენდენციისა და ხასიათის გასათვალისწინებელი შენარჩუნება);

— ნორმატიული (იგი ითვალისწინებს საპროგნოზო პერიოდში გარემოს ნორმატიული მდგომარეობის სრულ მიღწევას).

— საშუალოდო (იგი ითვალისწინებს წინა ორი ვარიანტის პარამეტრების ყველაზე ალბათურ კომბინაციას).

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გრძელვადიანი პროგნოზირების მესამე მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს პროგნოზირების დარგობრივი და რეგიონალური ჭრილების ურთიერთშეთავსება (რეგიონალური პროგნოზის წამყვანი როლის დაცვით). გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების დარგობრივი პროგნოზების შედეგები შეყვანილი უნდა იქნას ბუნებრივი გარემოს რეგიონალურ პროგნოზებში, ხოლო რეგიონალური პროგნოზები კი სინთეზირებული უნდა იქნენ უფრო მაღალი დონის პროგნოზებში (იგი საბოლოოდ სინთეზირებული უნდა იქნას საერთო საკავშირო პროგნოზში).

აღნიშნული პროგნოზის სტრუქტურა ძირითადად შეიცავს ორ ნაწილს: მეცნიერულ-ტექნიკურს და სოციალურ-ეკონომიკურს.

სამეცნიერო-ტექნიკური ნაწილი ასახავს იმ დარგების ტექნოლოგიის განვითარებას, რომლებიც ითვლებიან გარემოს ძირითად გამაუქუყიანებლებად. ის აგრეთვე უნდა ასახავდეს გარემოს გაუქუყიანების მედიკო-ბიოლოგიურ და ფიზიკურ-ქიმიურ შედეგებს და ახალი პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის საჭირო დანახარჯებს.

რეგიონალური ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროგნოზირების მიზანს წარმოადგენს გარემოს მომავალი მდგომარეობის შესახებ მეცნიერულად დასაბუთებული წარმოდგენების დამუშავება, მის ელემენტებს შორის და სხვა რაიონულ ქვესისტემებთან დინამიური წონასწორობის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების კომპლექსის გამოვლენა.

რეგიონის ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროგნოზის დამუშავების პროცესი ძირითადად შეიცავს სამი სახის კონკრეტულ ამოცანას:

1. ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის სოციალურ-ეკონომიკური შეფასება პერსპექტივაში და მის საფუძველზე ბუნებრივ გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალის სრული თავიდან აცილების ან მისი შემცირებისათვის საჭირო ღონისძიებების სისტემის დამუშავება;

2. ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროგნოზების ასახვა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ზოგადი კომპლექსური პროგნოზის კონტექსტში.

3. გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად მისი მდგომარეობის ცვლილებით გამოწვეული შესაძლო შედეგების განსაზღვრა, აღრიცხვა და მათი გავლენა რეგიონის მეურნეობის სპეციალიზაციასა და კომპლექსურ განვითარებაზე.

რეგიონალური ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდთა სიმრავლე შეიძლება დაყოფილი იქნას შემდეგ ჯგუფებად: 1. სტატისტიკური (განვითარების ტენდენციის ანალიზი, რეგრესიული ანალიზი, ექსტრაპოლაცია), 2. ინტუიციური (ექსპერტული შეფასებები); 3. საბალანსო; 4. ანკეტური დაკითხვის მეთოდი; 5. კომპლექსური სტრუქტურული მოდელირება; 6. პირდაპირი ანგარიშის მეთოდი (ნორმატივების მიხედვით); 7. ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდი. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში რეგიონალური ეკოლოგიურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირების საქმეში სულ უფრო მეტად ვხვდებით ეკოლოგიური პროგნოზების უმარტივესი მეთოდებიდან ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებაზე გადასვლის ფაქტებს. ეს იმას მოწმობს, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მეთოდმა ზემოთ აღნიშნული პროგნოზირების სფეროში უკვე დაიმკვიდრა ადგილი.

Г. Ш. ЦЕРЕТЕЛИ

МЕСТО ПРОГНОЗИРОВАНИЯ ПОКАЗАТЕЛЕЙ РАЗВИТИЯ И РАЗМЕЩЕНИЯ ПРОИЗВОДСТВА И СОСТОЯНИЕ ОХРАНЫ ОКРУЖАЮЩЕЙ ПРИРОДНОЙ СРЕДЫ В ПЛАНИРОВАНИИ ВЗАИМОУВЯЗАННОГО ФУНКЦИОНИРОВАНИЯ ЭТИХ СФЕР

Резюме

Статья посвящается изучению некоторых теоретических проблем взаимовязанного планирования развития и размещения производства и охраны окружающей среды.

Излагаются основные методологические вопросы территориальной организации производительных сил в свете последних достижений различных сфер науки; обоснована необходимость экономико-экологического подхода к территориальной организации производства; сформулированы основные требования прогнозирования и планирования показателей взаимовязанного функционирования сфер развития и размещения производства и охраны окружающей среды и определены их основные этапы.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ეკონომიკურ პრობლემათა განყოფილებამ

რეზიუმე

სოციალისტური პირადი საკუთრების სოციალურ-ეკონომიკური
არსი

განვითარებულმა სოციალიზმმა მრავალი ეკონომიკური პრობლემა წინა-პლანზე წამოსწია და უადრესად აქტუალური მნიშვნელობა მიანიჭა. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი პირად საკუთრებას უჭირავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის შესწავლას მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა, გადაუჭრელი და სადისკუსიო საკითხები ჯერ კიდევ მრავალია. ამხ. კ. ჩერნენკომ სკკპ ცკ-ის 1984 წლის აპრილის პლენუმზე აღნიშნა: „პარტიის უმაღლესი მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე ჯერ კიდევ გვაქვს გადასაწყვეტი ბევრი დიდი და რთული ამოცანა, რომლებიც თავისი წარმოშობითა და ხასიათით კომუნისტური ფორმაციის პირველ ფაზას განეკუთვნებიან. კაცმა რომ თქვას, სწორედ ეს არის დღეს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფისათვის დიდი და დაძაბული მუშაობის მთავარი შინაარსი“.¹

კ. მარქსმა გვიჩვენა, რომ საკუთრება გამოხატავს არა ადამიანის ურთიერთობას ნივთთან, არამედ ინდივიდთა ურთიერთდამოკიდებულებას შრომის მასალასთან, იარაღებთან და პროდუქტებთან, მათი დამოკიდებულების შესაბამისად,² რომ ეს არის ადამიანებს შორის საზოგადოებრივი, წარმოებითი ურთიერთობის გამოხატველი კატეგორია.

საკუთრება ყოველთვის გამოვლინდება ადამიანთა ნივთებთან დამოკიდებულების მეშვეობით, სადაც განმსაზღვრელ როლს ასრულებს წარმოების საშუალებების საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობა.

მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია არ განიხილავს საკუთრებას როგორც ადამიანების ნივთთან დამოკიდებულებას. მარქსი და ენგელსი „გერმანული იდეოლოგიაში“ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ „... ნივთი, თუ იგი მხოლოდ მესაკუთრის ნებისადმი მიმართებაში განიხილება, სრულიადაც არაა ნივთი; იგი იქცევა ნივთად, ნამდვილ საკუთრებად, მხოლოდ ურთიერთობის პროცესში და სამართლისაგან დამოუკიდებლად“.³

საკუთრება შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ადამიანთა კოლექტივებში, მათ ეკონომიკურ კავშირებში. იზოლირებული ადამიანი, როგორც მესაკუთრე აზრს მოკლებულია. „ენა როგორც ცალკეული ადამიანის პროდუქტი უაზრო“

¹ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა სკკპ ცკ-ის პლენუმზე 1984 წლის 10 აპრილს, ვახ. „კომუნისტი“, 1984 წ. 11 აპრილი, გვ. 1.

² კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი. მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგიის 1 თავის ახალი პუბლიკაცია“), თბ., 1968, გვ. 31.

³ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა („გერმანული იდეოლოგიის“ პირველი თავის ახალი პუბლიკაცია), თბ., 1968, გვ. 127.

ბაა. მაგრამ ასევეა საკუთრებაც“⁴. მაგრამ ამავე დროს, აღამინთა შორის საკუთრებრივი ურთიერთობანი ნივთების გამო გულისხმობენ მათ ობიექტურ-სუბიექტურ ურთიერთობას ნივთთან, როგორც თავის ნივთთან.

მარქსიზმ-ლენინიზმი განასხვავებს ცნებებს საკუთრება და საკუთრების უფლება. პრუდონთან პროლეტარების დროს კ. მარქსი პირდაპირ აღნიშნავდა, რომ საკუთრებითი ურთიერთობები უნდა განიხილებოდეს არა მათი იურიდიული გამოხატულებით როგორც ნებისყოფის ურთიერთობათა ერთობლიობისა, არამედ მათი რეალური ფორმით როგორც წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა.⁵

მარქსიზმს საკუთრებაში ესმის აღამიანების მიერ მატერიალური დოვლათის, პირველ რიგში, წარმოების საშუალებების მითვისება განსაზღვრული ისტორიული საზოგადოების შიგნით და ამ საფუძველზე წარმოშობილი ურთიერთობები აღამიანებს შორის. ამდენად საკუთრება არის მატერიალური დოვლათის მითვისების ისტორიულად განსაზღვრული სოციალურ-ეკონომიკური ფორმა. ამასთან საკუთრება, მისი ფორმა როგორც საზოგადოებრივი წარმოების განუყრელი მხარე, ყოველთვის კონკრეტულია, ის მთლიანად განისაზღვრება საწარმოო ძალების მდგომარეობით, წარმოების ხასიათით. მითვისება აღამიანების მიერ ყოველთვის გარკვეულ საზოგადოებრივ ფორმებში ხდება. განსხვავებით ცხოველთა „მითვისებისაგან“. მითვისების განხილვა წარმოების საზოგადოებრივი ფორმებისაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია, ასევე პირიქით, მითვისების გარეშე საკუთრება ცარიელი ფორმაა, უაზრობაა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მითვისება, პირველ რიგში, არის აღამიანთა პრაქტიკული მოქმედება, რომლის მიზანია აღამიანთა სიცოცხლისათვის აუცილებელი მატერიალური დოვლათის შექმნა, რაც ორგანულად განაპირობებს აღამიანთა შორის ურთიერთობას ნივთების თაობაზე. „საკუთრება — წერს კ. მარქსი, — რამდენადაც ის მხოლოდ გარკვეული დამოკიდებულებაა წარმოების პირობებისადმი, როგორც თავისი პირობებისადმი..., მხოლოდ თვით წარმოების მეოხებით ხორციელდება. ნამდვილი მითვისება ხდება არა აზრისეულ, არამედ ამ პირობებისადმი ქმედით, რეალურ დამოკიდებულებაში — მათი ნამდვილი გამოყენება კი — როგორც მისი სუბიექტური მოქმედების პირობებისა“.

საკუთრება გულისხმობს მითვისების ობიექტების ეკონომიკური გამოყენების განსაზღვრულ მონოპოლიას, მათ გარკვეულ შეზღუდულობას. კ. მარქსი წერდა: „მიწა რომ შეუზღუდველ ელემენტს წარმოადგენდეს არა მარტო კაპიტალისა და მოსახლეობის მიმართ, არამედ ფაქტურადაც, ე. ი. „შეუზღუდველი“ რომ იყოს როგორც ჰაერი და წყალია, „შეუზღუდველი რაოდენობით რომ მოიპოვებოდეს“, მაშინ მიწის მითვისება ერთი პირის მიერ სრულიად არ შეეძლო გამოერყვნა მისი მითვისება მეორე პირის მიერ. მაშინ, არ იარსებებდა არავითარ ფორმის საკუთრება (და არ იქნებოდა არა მარტო კერძო, არამედ საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრებაც)“⁷.

ჩვენი აზრით სავსებით სამართლიანია საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობის (ე. ჩერკოვეცი, ი. კუზმინოვი, ნ. კოლუსოვი, ვ. რადაევი, ა. ქვანახია

⁴ კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, თბ., 1952, გვ. 32.

⁵ კ. მარქსი, პრუდონის შესახებ (წერილი ი. შვეიცერს, 1865 წ. 24 იანვარი) კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 1, გვ. 442.

⁶ კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 37.

⁷ კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი) ნაწ., 2, თბ., 1968, გვ. 408—409.

გ. თოდუა, გ. გომაძე და სხვა) აზრი, რომ საკუთრება ეკონომიკური კატეგორიაა და რომ კ. მარქსი არ აიგივებდა საკუთრებით ურთიერთობებს და წარმოების ურთიერთობებს. კ. მარქსი ნაშრომში „კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები“ პირდაპირ განასხვავებს ამ ცნებებს, როდესაც წერს „საკუთრების ურთიერთობისა და წარმოებითი ურთიერთობის“ შესახებ.⁸

საკუთრება გამოხატავს ეკონომიკური ცხოვრების ყველაზე უფრო საერთო ფორმებს, ეკონომიკური სინამდვილის, საყოველთაო მხარეებს, ხასიათს და კავშირებს. იგი როგორც საზოგადოებრივი წარმოების რეალური ურთიერთობის თეორიული გამოხატულება მისი შეცნობის და კანონზომიერების გახსნის ამოსავალი პუნქტია.

რამდენადაც საკუთრების კონკრეტული ფორმისათვის ამა თუ იმ ისტორიულად განსაზღვრულ წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში, შინაგანად დამახასიათებელია ისეთი თვისებები, როგორცაა ობიექტურობა, არსებითობა, აუცილებლობა, საყოველთაობა, მყარობა, განმეორებადობა, იმდენად ისინი არ შეიძლება არ აისახონ შესაბამის კატეგორიალურ დახასიათებაში.

საკუთრების კატეგორიის შინაარსის გახსნისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სარგებლობის, მფლობელობის, განკარგვის ცნებებს.

ზოგიერთი საბჭოთა ეკონომისტის აზრით სარგებლობა, მფლობელობა და განკარგვა არსებითად იურიდიული კატეგორიებია და მათი გამოყენება ეკონომიკური ურთიერთობის შინაარსის გახსნისათვის შეუძლებელია.⁹

მარქსიზმის კლასიკოსები განასხვავებდნენ „სრულ“ და „აპარულ“ საკუთრებას, საკუთრებას, როგორც მითვისების სრულ ფორმას და სარგებლობას, მფლობელობას.

კ. მარქსი ფეოდალურ საზოგადოებაში მიწის საკუთრების შესახებ წერდა: „სახელმწიფო აქ მიწის უზენაესი მესაკუთრეა... მაგრამ სამაგიეროდ ამ შემთხვევაში არ არსებობს არავითარი კერძო მიწის საკუთრება, თუმცა არსებობს მიწის როგორც კერძო, ისე თემური მფლობელობა და სარგებლობა“.¹⁰ ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „სახანავი მიწა ცალკეულ ოჯახებს ეძლევათ სარგებლობისათვის — ჯერ დროებით, შემდეგ კი სამუდამოდ; გადასვლა სრულ კერძო საკუთრებაზე ხდება თანდათანობით“.¹¹ ვ. ი. ლენინი ანსხვავებდა რა მფლობელობას და საკუთრებას აღნიშნავდა „...მფლობელობა კიდევ არ ნიშნავს საკუთრებას“.¹²

ჩვენი ვიზიარებთ იმ ეკონომისტთა (მ. კოლგანოვი, ნ. კოლესოვი, ე. ვლადიმირსკი, ბ. ტარასოვი და სხვ) აზრს, რომლებიც თვლიან, რომ სარგებლობა, მფლობელობა, განკარგვა და მითვისება ეკონომიკური კატეგორიებია და სარგებლობა, მფლობელობა და საკუთრება გამოდიან მითვისების ერთიანი საზოგადოებრივი პროცესის განსაკუთრებულ ფორმებად.

საკუთრების ურთიერთობის რეალიზაცია რეალური სინამდვილის დონეზე სწორედ ამ კატეგორიების მეშვეობით (როგორც მითვისების ფორმების) ხდება,

⁸ კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 49.

⁹ მაგ., Шкредов В. П. — Метод исследования собственности в «Капитале» К. Маркса, Н., 1973; А. Пошков. О собственности на средства производства в классах, социальных группах и о характере труда при социализме, «Вопросы экономики», 1971, с. 97.


¹⁰ კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 411.

¹¹ ფ. ენგელსი, ოჯახის კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II, თბ., 1950, გვ. 376.

¹² ვ. ი. ლენინი, გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის I ყრილობა, ტ. 24, გვ. 601.

2. მაყენ, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, № 2

252343



ასეთი კონკრეტულობის გარეშე საკუთრება გადაიქცევა აბსტრაქტულ ცნებად. საერთოდ შეუძლებელია საკუთრების ეკონომიკური შინაარსის გახსნა, უფრო კონკრეტული დონის კატეგორიების გამოყენების გარეშე, რომლებიც მითვისების ურთიერთობას გამოხატავენ ეკონომიკური კავშირების ზედპირზე.

მითვისება გამოდის, როგორც საკუთრების, მფლობელობის და სარგებლობის ერთ-ერთი მხარე, მაგრამ მისი გამოვლინების ხარისხი მათში სხვადასხვაა. ისინი ამავე დროს არიან მითვისების ფორმები. მითვისების ფორმები ვითარდებოდა შემდეგი თანმიმდევრობით: სარგებლობა, მფლობელობა და საკუთრება. პირველ ორ ფორმას კლასიკოსები არასრულ საკუთრებას უწოდებენ ე. ი. მითვისების არასრულ ფორმებს, ხოლო მითვისების მესამე ფორმას სრულ საკუთრებას ე. ი. მითვისების სრულ ფორმას.

მფლობელობა, როგორც განვითარებული შინაარსის ახალი, უფრო რთული, განვითარებული ფორმა (კატეგორია) თავის თავში მოიცავს ძველ ფორმას როგორც დაქვემდებარებულ მომენტს. ზუსტად ასევე საკუთრებაც, განვითარებული შინაარსის ახალი ფორმა (კატეგორია) დაქვემდებარებულ მომენტებად ინარჩუნებს სარგებლობას და მფლობელობას. ჩვენ აქ გვაქვს კატეგორიათა გადასვლითი კავშირურთიერთობა. კ. შარქის წერდა: „...უფრო მართებული იქნებოდა გვეთქვა, რომ არსებობენ ოჯახები, გვარები, რომლებიც ჯერ მხოლოდ ფლობენ, მაგრამ რომელთაც, საკუთრება არ გააჩნიათ. მაშასადამე, უფრო მართივი კატეგორია გვევლინება როგორც პირველადი ოჯახური და გვაროვნული კავშირების დამოკიდებულება საკუთრებისადმი. უფრო განვითარებულ საზოგადოებაში იგი ჩნდება განვითარებული ორგანიზმის უფრო მარტივი ურთიერთობის სახით.“¹³

განკარგვა დამახასიათებელია მითვისების სამივე ფორმისათვის, მაგრამ სხვადასხვა ხარისხით. განკარგვის ფუნქციები ფართოვდება სარგებლობიდან საკუთრებისაკენ. განკარგვაში გამოისახება განსაკუთრებული კავშირურთიერთობანი ბაზისისა ზედნაშენთან და საწარმოო ძალეტან.

ეკონომიკური კატეგორიები სარგებლობა, მფლობელობა, და განკარგვა ხსნიან საკუთრების ურთიერთობას სხვადასხვა მხრიდან სისტემის სხვადასხვა დონეზე, ამ აზრით ისინი არ შეიძლება მოიცავდნენ ერთმანეთს როგორც ცნებები, ერთმანეთთან და საკუთრებასთან არ არიან ისეთ დამოკიდებულებაში როგორც ნაწილი მთელთან.

მარქსიზმ-ლენინიზმი მკვეთრად განასხვავებს საკუთრებას წარმოების საშუალებებზე და პირადი მოხმარების საგნებზე. პირადი მოხმარების საგნების მითვისება ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელია ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში.

პირადი საკუთრება, არის პირადი მოხმარების საგნების მითვისების სრული ფორმა (მითვისება შეიძლება მოხდეს პირადი გამოყენების, პირადი მფლობელობის და პირადი საკუთრების დროსაც, რომელთაგან მითვისების სრული ფორმაა პირადი საკუთრება).

პირველყოფილი — თემური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარების პირველ ეტაპზე წარმოების საშუალებებზე და პირადი მოხმარების საგნებზე საზოგადოებრივი პირველყოფილი თემური საკუთრება არსებობ-

¹³ კ. შარქის, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 283.

და. პირადი მოხმარების საგნების მითვისება ხდებოდა პირადი გამოყენებისა და შემდეგ პირადი მფლობელობის ფორმით, რაც რა თქმა უნდა არ იძლეოდა პირადი მოხმარების საგნების სრული განკარგვის შესაძლებლობას.

პირველყოფილი თემური საზოგადოების განვითარების მეორე ეტაპზე, საწარმოო ძალების განვითარების შესაბამისად ვითარდება და იცვლება მისი საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაც. ხდება ვადასკვლა პირადი მოხმარების საგნების მითვისებაზე პირადი საკუთრების ფორმით.

აქვე უნდა ითქვას, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინი პირადი საკუთრება სოციალიზმის დროს არასწორია, პირადი საკუთრება ყოველთვის კონკრეტულია, იგი ყველა საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაში არსებობს სხვადასხვა ფორმით, ამიტომ უფრო მართებული იქნებოდა თუ ვიხმარდით ტერმინს სოციალისტური პირადი საკუთრება.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი თითქოს პირადი საკუთრება მხოლოდ სოციალიზმის დროს არსებობს, ხოლო სოციალიზმამდელ ფორმაციებში მას არა აქვს ადგილი, არ მიგვაჩნია მართებულად. „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერდნენ: „მამასაღამე, თუ კაპიტალი კოლექტიური საზოგადოების ყველა წევრთა კუთვნილ საკუთრებად გადაიქცევა, ეს არ იქნება პირადი საკუთრების გადაქცევა საზოგადოებრივ საკუთრებად. შეიცვლება მხოლოდ საზოგადოებრივი ხასიათი საკუთრებისა“.¹⁴ ჩვენი აზრით წარმოების საშუალებებზე საკუთრება არსებობს საზოგადოებრივი ან კერძო ფორმით, ხოლო მოხმარების საშუალებებზე პირადი საკუთრების სხვადასხვა ფორმით.

ფ. ენგელსი წერს: „ამრიგად, ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციით შექმნილი მდგომარეობა დახასიათებულია როგორც ინდივიდუალური საკუთრების აღდგენა, მხოლოდ მიწისა და თვით შრომის მიერ წარმოებულ საწარმოო საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების ნიადაგზე... საზოგადოებრივი საკუთრება ვრცელდება მიწისა და სხვა საწარმოო საშუალებებზე, ხოლო ინდივიდუალური საკუთრება პროდუქტებზე, ე. ი. მოხმარების საგნებზე“.¹⁵

სწორედ აღნიშნავს ნ. კოლესოვი, რომ კაპიტალისტების მიერ როგორც კერძო ისე პირადი მითვისება გამოხატავს დაჭირავებული მუშების ექსპლოატაციას, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ მითვისების ორივე სახეს შორის არ არსებობს არავითარი სხვაობა. მითვისების პირველი სახე (კერძო მითვისება) გამოხატავს წარმოების საშუალებებისა და წარმოებული პროდუქტის მითვისებას, მეორე სახე (პირადი მითვისება) მოხმარების საგნების მითვისებას, წარმოებული პროდუქტის განაწილების შედეგად.¹⁶

კაპიტალიზმის აპოლოგეტები ყოველნაირად ცდილობენ გააიგიონ მითვისების კერძო და პირადი ფორმა ე. ი. კერძო და პირადი საკუთრება, რათა დაფარონ მშრომელთა ექსპლუატაციის ძირითადი მიზეზი, დასაბუთონ პრინციპული განსხვავების უქონლობა კაპიტალისტებს და მუშებს შორის, გამოაცხადონ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა წევრი კერძო მესაკუთრედ. კ. მარქსი და

¹⁴ კ. მარქსი, და ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. I, თბ., 1975 წ. გვ. 144.

¹⁵ ფ. ენგელსი, ანტი-დუტირინგი, თბ., 1952, გვ. 155—156.

¹⁶ Колесов Н. Д. Общественная собственность на средства производства — основное производственное описание социализма Изд-во ЛГУ, 1967, с. 136—147

ფ. ენგელსი წერდნენ რომ, „დღევანდელ საზოგადოებაში კერძო საკუთრება უკვე მოსპობილია მის წვერთა ცხრა მეათედისათვის“.¹⁷ ამრიგად, მარქსიზმის კლასიკოსები მუშათა ინდივიდუალურ საკუთრებას არ თვლიდნენ კერძო საკუთრებად, სწორედ იქნებოდა მისი მიკუთვნება პირადი საკუთრების კატეგორიისადმი. ეს სრულებითაც არ ნიშნავს თითქმის არ არსებობს არავითარი განსხვავება მშრომელთა და ექსპლუატატორთა პირად საკუთრებას შორის. მაგ. კაპიტალიზმის დროს გვაქვს პირადი საკუთრების ორი ფორმა: პირად შრომაზე დამყარებული მშრომელთა პირადი საკუთრება და მშრომელთა ექსპლუატაციზე დამყარებული პირადი საკუთრება.

პირადი საკუთრება ყოველთვის გამოხატავს განსაზღვრულ ეკონომიკურ ურთიერთობებს და აქვთ ისტორიული ხასიათი. დაუშვებელია პირადი საკუთრების განხილვა, როგორც მატერიალური დოვლათის მოხმარების ბიოლოგიური პროცესის, როგორც ადამიანის ნივთთან ურთიერთობის სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი საკუთრება მუდმივი კატეგორია იქნება, ერთნაირი ყველა საზოგადოებრივ ეკონომიკური წყობილებისათვის.

საბჭოთა ეკონომისტების უდიდესი ნაწილი გამოდის ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში წარმოების საშუალებებზე საკუთრების პრიმატიდან, ხოლო პირად საკუთრებას განიხილავენ როგორც წარმოებულ ეკონომიკურ კატეგორიას. მშრომელთა სოციალისტური პირადი საკუთრება მოხმარების საგნებზე და ზოგიერთ წვრილი წარმოების საშუალებებზე არის განსაკუთრებული ეკონომიკური და იურიდიული კატეგორია (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალიზმის დროს წარმოების ზოგიერთ მარტივ საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება პირად დამზარებ მეურნეობაში, პირადი საკუთრების არსებობა აიხსნება იმით, რომ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმზე გადასვლის დროს იყო საწარმოო ძალების განვითარების შედარებით დაბალი დონე).

სოციალისტური პირადი საკუთრება ნიშნავს, რომ ყოველი მშრომელის მოხმარების საშუალებები გამოყოფილია საზოგადოების და მისი წევრების მოხმარების საშუალებებისაგან. საზოგადოების ყველა წევრი გვევლინება, როგორც დამოუკიდებელი მესაკუთრე იმ მოხმარების საშუალებებისა, რომლებიც მათი არსებობის წყაროა და განსაზღვრავს მათ მატერიალურ კეთილდღეობას.

პირადი საკუთრება ძირითადად არის ურთიერთობა ცალკეულ ინდივიდებსა და საზოგადოებას შორის გამოცალკეებული მოხმარების საშუალებების მითვისების გამო. ეს გამოცალკეება შედეგია სამუშაო ძალაზე პირადი საკუთრებისა, რომლის მიმართებითაც მოხმარების საგნებზე პირადი საკუთრება წარმოებულა.

საბჭოთა ეკონომისტების¹⁸ ნაწილი პირადი საკუთრების კატეგორიის არსებობას უკავშირებს მატერიალური დოვლათის ინდივიდუალური მოხმარების თავისებურებებს და პირად საკუთრებას განსაზღვრავს მხოლოდ როგორც პირადი მოხმარების ფორმას. ჩვენი აზრით არასწორია ასეთი პირდაპირი მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარება საკუთრების ფორმასა და მატერიალური დოვლათის პირად მოხმარებას შორის. ამის მტკიცება ნიშნავს, რომ საკუთრების

¹⁷ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 1, თბ., 1963, გვ. 29.

¹⁸ მაგ. Радаев В. В. Личная собственность в социалистическом обществе, М., 1963, с. 7.

ფორმები განისაზღვრება საგნების სამომხმარებლო თვისებებით. მაგ. ნ. კორნიენკო, ასახულებს რა პირადი საკუთრების შენარჩუნების აუცილებლობას კომუნისმის დროს, წერს, რომ ზოგიერთი მატერიალური დოვლათის მოხმარების ობიექტურ თავისებურებათა გამო პირადი საკუთრება მათზე უნდა იქნეს შენარჩუნებული ყოველგვარ პირობებში.¹⁹

არ შეიძლება გავაიგიოთ პირადი, ინდივიდუალური მოხმარება პირად მითვისებასთან. პირადი მოხმარება ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა, მაგრამ ის გაშუალებულია მატერიალური დოვლათის მითვისებით პირად საკუთრებაში მხოლოდ განსაზღვრულ სოციალ-ეკონომიკურ პირობებში. სოციალიზმის დროს ინდივიდუალური მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი შეიძლება საზოგადოებრივ საკუთრებაში მყოფი ობიექტებითაც. საერთოდ ის ფაქტი, რომ მოხმარების საგნები მოიხმარება არა ინდივიდუალურად, არამედ ერთობლივად, არ ცვლის მათ ბუნებას როგორც პირადი მოხმარების საგნებისას. მითვისების ხასიათი განსაზღვრავს მოხმარების/ფორმას და არა პირიქით, რადგან მატერიალური დოვლათის მითვისება პირად საკუთრებაში წინ უსწრებს პირად მოხმარებას.

როგორც ცნობილია, საკუთრებითი ურთიერთობები გამოვლინდებიან კვლავწარმოების ყველა ფაზაში, ამიტომ საბჭოთა ეკონომისტების უმრავლესობა (მაგ. ე. ვლადიმირსკი, ვ. სერებროვსკი, ვ. ლოგვინენკო, ა. ბოლიასნიკოვი, ნ. კოლესოვი, ი. გრიცენკო და სხვები) პირად საკუთრებას განიხილავს, როგორც კატეგორიას, რომელიც მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით გამოხატავს ურთიერთობებს კვლავწარმოების ყველა ფაზაში. ფაშობრივი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ პირადი საკუთრება გამოხატავს ურთიერთობებს დამყარებულს ადამიანთა შორის პროდუქტის მოძრაობის გამო წარმოებიდან პირად მოხმარებამდე.

ჩვენი აზრით სავესებით სწორია ე. ვლადიმირსკის, ნ. იაროსლავცევას, ვ. კორნიენკოს მოსაზრება, როდესაც პირადი საკუთრების წარმოშობის მიზეზებს წარმოების სფეროში ხედავენ და არა განაწილებისა და მოხმარების სფეროში ჩვენი აზრით, ეს მართებული შეხედულება გამომდინარეობს კ. მარქსის დებულებიდან: საკუთრება, „მხოლოდ თვით წარმოების მეოხეობით ხორციელდება“.²⁰

წარმოების საშუალებებზე საკუთრება ძირითადი წარმოებითი ურთიერთობაა, ხოლო პირადი საკუთრება წარმოებული, მაგრამ დამოუკიდებელი ურთიერთობაა. ზოგიერთი ეკონომისტი, როდესაც ლაპარაკობს პირადი საკუთრების წარმოებულობაზე, გაზვიადებულ როლს აკუთვნებს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებას და საბოლოოდ პირადი საკუთრების წარმოშობის მიზეზსაც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივ საკუთრებაში ხედავს.²¹ მათ დებულებას მივყავართ ლოგიკურ დასკვნამდე, რაც გამოიხატება პირადი საკუთრების მხოლოდ სოციალიზმის დროს აღიარებით. მაგალითად ა. კომელევი წერს, რომ პირადი საკუთრება როგორც ეკონომიკური ურთიერთობა წარმოიშვება მხოლოდ სოციალიზმის დროს და თვითონ მისი არსებობა

¹⁹ Корниенко Н. И. Личная собственность при социализме, Автсрф. канд. дис. Киев, 1969, с. 22.

²⁰ კ. მარქსი, კავიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 37.

²¹ მაგ. Кошелев А. Я. Личная собственность в социалистическом обществе, М., 1963, с. 6.

განპირობებულია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებით.²² ამავე აზრს იზიარებს იურისტი თ. იოფრეც²³.

ჩვენ ვიზიარებთ დებულებას რომელიც თვლის, რომ სოციალისტური პირადი საკუთრების წარმოებულობა საზოგადოებრივი საკუთრებიდან განსაზღვრავს არა მისი არსებობის ფაქტს, არამედ მის სპეციფიკურ შინაარსს.²⁴

შემდეგ ავტორი ეხება იმას თუ როგორი მიწა უნდა იქნეს გამოყენებული საბოსტნედ (თბილი, ვაშენილი და მსუქანი მიწა). რომ ბოსტანის ახლოს იყოს სარწყავი წყალი, როგორ უნდა გაუკეთდეს კვლები, როგორ უნდა გაშენდეს „პარნიკები“ (სათბურები). რა ზომის უნდა იყოს შეტანილი სასუქები, როგორ უნდა დამუშავდეს ბოსტანი და ა. შ.

წერილების მეორე ნაწილში (1861 წ. სექტემბერ-ოქტომბრის ნომერში) იგი დაწვრილებით აგვიწერს ბოსტნეულის ცალკეულ სახეებს (კომბოსტო, სტაფილო, ნიახური, ქინძი, ოხრახუში, ზოლოკი, კარტოფილი, თაღამი, ხახვი, წიწმბატი, პრასი, ნიორი, კიტრი, ვოგრა, საზამთრო, ნესვი) მიუთითებს მის აგროტექნიკაზე და ა. შ.

აღნიშნული ავტორის წერილებმა დიდი როლი ითამაშა XIX ს. მეორე ნახევარში საქართველოში მეზოსტენობის შემდგომი განვითარების საქმეში, დააჩქარა ბოსტნეულით აღებ-მიცემობის საქმე და ხელი შეუწყო ცალკეულ მიწის მეპატრონეებს რათა იგი გაეხადათ ვაჭრობის სისტემატურ საგნად და მათსა-საღამე გამდიდრების ერთ-ერთ წყაროდ.

1867 წელს ტფილისში მოწყობილ სოფლის მეურნეობის გამოფენის გამო ე. მაღალაშვილი წერდა რომ 1867 წ. 13 ნოემბერს გაიხსნა დროებითი გამოფენა ჩვენს ქალაქში. ეს გამოფენა მოეწყო კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების სახლში, რომელიც ერთ თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ამ გამოფენაზე მეზოსტენობას დათმობილი ჰქონდა ერთი ოთახი. „რა წაშს შებრძანდებოდით, თვალს მიაკცევდით კოლონისტებისაგან წარმოდგენილს უშველებელ გოგარებს. აგრეთვე საუცხოვო კარტოფილის ეგზემპლარებს, წარმოდგენილს თ. ივანე მუხრანსკისაგან და სხვა მცირე ბოსტანის მოსავალს უფ. დეიჩმანის ბოსტანიდან, რომელთა შორის კარგი ეგზემპლარები იყო ყვავილოვანის კომბოსტოსი.“

ჩვენში მრავალია სხვადასხვა ბოსტანის მოსავალი, უმეტესად ქალაქის პირობებში. დიდ სარგებლობას იძლევა საზამთროს და ნესვის ბოსტნები, წვანილიობა¹⁵.

ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიაც მეზოსტენობა თანდათან სავაჭრო მიწათმოქმედების ფარულში ებმებოდა. განსაკუთრებით რეფორმის შემდგომ პერიოდში. როგორც ლენინი წერდა, რუსეთში „სავაჭრო მეზოსტენობა, რომელიც მოსახლეობის შეუღარებლად უფრო ღირს მასებისათვის იძლევა მოხმარების საგნებს, ვიდრე მებაღეობა, კიდევ უფრო სწრაფად და უფრო ფართოდ ვითარდებოდა. სამრეწველო ბოსტნები მნიშვნელოვნად არის ვაჭრე-

¹⁴ ნ. პაული, ჟურნ. „ციცარი“, 1861, ივლისი, გვ. 264.

¹⁵ ესტ. მაღალაშვილი, სოფლური ეკონომიის წარმოების გამოფენა ტფილისში, 1862 წ. ჟურნ. „საქართველოს მოამბე“, 1963, № 2, გვ. 192—193.

ლებული, ჯერ ერთი, ქალაქების ახლოს, მეორეც საფაბრიკო და სავაჭრო-სამრეწველო დაბების ახლოს, აგრეთვე რკინიგზის გასწვრივ; მესამეც, ცალკეულ სოფლებში, რომლებიც გაბნეულია მთელ რუსეთში და განთქმულია ბოსტნეული მწვანეხალის მოყვანით. საქიროა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ პროდუქტებს მოითხოვს არა მარტო ინდუსტრიული, არამედ მიწათმოქმედი მოსახლეობაც¹⁶. ლენინის თქმით, სავაჭრო მიწათმოქმედების მეზობტნეობას ეკუთვნოდა აგრეთვე სამრეწველო მეზობლობა¹⁷, რომელშიაც როგორც იქნა მოჰყავდათ საზამთრო, ნესვი და გოგრა.

ცნობილია, რომ ირანელები და ოსმალები მაშინ კარგი მეზობტნეები იყვნენ და განსაკუთრებით დახელოვნებულნი მეზობტნეობაში — საზამთროსა და ნესვის მოყვანაში. როგორც აკად. პ. გუგუშვილი წერს, ისინი რეფორმის შემდგომ პერიოდში ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში და მისდევდნენ მეზობტნეობას. ისინი მოდიოდნენ ადრე გაზაფხულიდანვე და რჩებოდნენ გვიან შემოდგომამდე. მათი უდიდესი ნაწილი უკანვე ბრუნდებოდა. ადგილობრივი მემამულე მათ აძლევდა 2—3 კაცს და საბოსტნედ მოხსნულ მიწას, ხოლო მუშები თესავდნენ თავიანთ თესვს, მოსავალი იყოფოდა თანასწორად მონაწილეებს შორის, სადაც მიწის პატრონიც ერთ-ერთ მონაწილედ ითვლებოდა. როდესაც ბოსტანს სამი მუშა აკეთებდა, მოსავალი იყოფოდა ოთხად — ერთი მეოთხედი მემამულისა იყო. ამ ბოსტნეებში მოყავდათ უპირველესად ყარაფუზი (საზამთრო) და, განსაკუთრებით განთქმული ღუმბა (ნესვი).

ს. ბუნიატოვი აღნიშნავს, რომ მკვიდრი გლეხი „ბევრ რამეს სწავლობს თავისი მეპაიე (მონაწილე) ირანელისაგან და 3-4 წლის შემდეგ თვითონვე ხდება კარგი მეზობტნე და დამოუკიდებლად აკეთებს ბოსტანს“¹⁸.

როგორც ლენინი წერდა „მეზობტნეობას ეკუთვნის აგრეთვე ბოსტნეულის სათბურების მოწყობა“¹⁹. იგი განსაკუთრებით ეწყობოდა რეფორმის შემდგომ პერიოდში ტფილისის საგარეუბნეო მეურნეობებში. მაგრამ თუ როდის იქნა ასეთი სათბური მოწყობილი და სად, არაა დადგენილი²⁰. მაგრამ XIX ს. — 60-იან წლებში საქართველოს ყურნალ გაზეთებში („ცისკარი“ 1861 წ. „გუთნის ელრა“ 18867 წ.) უკვე იხსენიება ასეთი სათბურები. მაგ. ნ. პაული 1861 წ. უწერს: „ცისკარში“ წერია: „პარნიკის გასაკეთებლად ჯერ ისეთი ორმო უნდა ამოთხაროს (სიგანე 1/2 ადლი), რომელშიაც ერთ ადლნახევრიანი ან ორადლიანი ხის ყუთი სიგანედ დაეტიოს. პარნიკის სიმაღლე ცხრა ვერსიკს ზევით არ უნდა იყოს ხოლმე. ამ ხის ყუთებში კარგი რბილი და მსუქანი მიწა ჩაყარეთ. როდესაც ყუთი მზათ იქნება შუშის დასახურავი უნდა გაუკეთდეს, რომ მცენარეს სითბო, სინათლე ჰქონდეს... ამ პარნიკებში, რომელშიაც მცენარენი მთელს ზამთარს არიან, უფრო ძველს, დამწვარს სასუქს ჩაჰყრიან. პარნიკებში მაშინ დაითესება რამე, როდესაც დაყრილს პატივს ორთქლი აღარ აზღის, ან როდესაც პარნიკებში ჩაყოფილი ხელი არ გრძნობს დიდს სითბოს... კარგ დღეებში პარნიკებს მალ-მალე ახლიან, რომ ჰაერმა გაუაროს, მაგრამ უფრთხილდით, რომ

¹⁶ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 349.

¹⁷ იქვე, გვ. 352.

¹⁸ პ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. II, თბ., 1956, გვ. 802—813.

¹⁹ ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 352.

²⁰ Г. К. Джапаридзе, исторические и экономические предпосылки развития овощеводства в Грузии (автореферат докторской диссертации) Тб., 1949, с. 9.



ცივმა ქარმა არ დაჰკარა ქორთა მცენარეთ. პარნიკები ზომიერად უნდა მოიწყან, რომ მომეტებულმა ნოტიომ მცენარე არ დააღოს. პარნიკები კარგად გამარგლეთ²¹.

გასაგებია, რომ მეზოსტნე მეურნეები, გამოიყენებდნენ სათბურების შესახებ აღნიშნულ დარიგებას და შეძლებისდაგვარად მოაწყობდნენ გარკვეულ საცდელ სათბურებსაც. ამ სათბურებში მათ ძირითადად გამოჰყავდათ ნერგის ჩითილი და კიტრი²². საქართველოში უკვე ბოსტნეულის სათბურების რიცხვმა 1913 წელს 4000-ცალს მიაღწია და ისინი უმთავრესად მოთავსებული იყო თბილისის საგარეუბნო ბაღებსა და ბოსტნებში²³.

სავაჭრო მეზოსტნეობის განვითარებამ საქართველოში გამოიწვია პროდუქციის შორეულ ბაზრებში გატანა და გასაღება. განსაკუთრებით ეს პროცესი ძლიერი იყო რეფორმის შემდგომ პერიოდში — იმერეთში (ქუთაისის მახრა) საიდანაც გაჰქონდათ უმთავრესად საადრეო ბოსტნეული. პროფ. ა. როლოვის მონაცემებით იმერეთიდან ყოველწლიურად გაჰქონდათ 100 ათას ფუთზე მეტი ბოსტნეული: ადრეული კომბოსტო, პამიდორი, კიტრი, ლობიო, კარტოფილი, საზამთრო, ნესვი, მსხვილი მარწყვი და სხვა. რკინიგზის სტატისტიკის მონაცემებით ქუთაისის მახრიდან გატანილი იქნა შემდეგი რაოდენობის ბოსტნეული.

1890-1894 წწ. — 290 862 ცენტნერი. 1895-1899 წწ. — 290 87,9 ცენტნ.; 1900-1904 წწ. — 572 488 ცენტნ.; 1909-1913 წწ. — 924 872,5 ცენტნერი²⁴. მარტო კაბოტაჟით (ე.ი. ნაოსნობის ფლოტი) 1909-1913 წწ. გატანილი იქნა: (ფუთ.) კარტოფილი 57 824; ჭარხალი — 52 74; საზამთრო და ნესვი 4 671. დანარჩენი ბოსტნეული 134 96; სულ გატანილმა ბოსტნეულმა ამ პერიოდში შეადგინა — 181 795 ფუთი. ამავე პერიოდში კი საქართველოში შემოტანილი იქნა — 35107 ფუთი ბოსტნეული. მ. შ. კარტოფილი — 1096 ფუთი; ჭარხალი — 9 ფუთი. საზამთრო და ნესვი 3770 ფუთი; დანარჩენი ბოსტნეული 22 044 ფუთი²⁵.

თუ 1913 წ. ბოსტნეულის კულტურების ფართობმა საქართველოში 8 400 ჰექტარი შეადგინა, პირველი მსოფლიო ომისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში, მისი ფართობი მკვეთრად შემცირდა. ასე მაგალითად 1916-1917 წწ. ბოსტნეულის ნათესმა ფართობმა შეადგინა შემდეგი. (იხ. ცხრ 1).

ცხრილი 1

ბოსტნეულის ნათესი ფართობი 1916-1917წწ.
(დესეტ.)²⁶

	კარტოფილი		ბოსტნეულ-ბაღჩეული	
	1916 წ.	1917 წ.	1916	1917
სულ საქართველოში	3526	3120	919	1679

²¹ უტრნ. „ცისკარი“, 1861, ივლისი, გვ. 270.

²² გ. ჭაფარიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 10.

²³ იქვე, გვ. 13.

²⁴ იქვე, გვ. 10.

²⁵ სტატისტიკური კრებული 1909—1921 წ. ტფ., 1923, გვ. 86—87.

²⁶ იქვე, გვ. 19.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ სულ საქართველოში 1916 წ. ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და კარტოფილის ფართობს შეუდგენია — 4445 ღესეტინა, ხოლო 1917 წ. — 4799 ღესეტინა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ვლაპარაკობთ ბოსტნეულის ნათესი ფართობის ოდენობაზე ჩვენ ყოველთვის მხედველობაში გვაქვს მისი ფიზიკური ფართობი. ფაქტიურად კი მისი ფართობი უფრო მეტს უდრიდა, რადგან მე-ბოსტნე-მეურნეებს ხშირად ერთი და იგივე ფართზე ორ და სამ ბოსტნეულის მოსავალს ღებულობდნენ.

საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში, სოფლის მეურნეობის მკვეთრად დაცემასთან ერთად, კატასტროფულ მდგომარეობაში ჩაყარდა მე-ბოსტნეობაც. მართალია, მენშევიკურმა მთავრობამ 1918-1920 წლებში გაატარა გარკვეული მიწის „რეფორმა“, მაგრამ მან ვერ უზრუნველყო ქვეყნის სოფლის მეურნეობის მწარმოებლური ძალების განვითარება. „უფრო მეტი, — „დემოკრატიული“ მთავრობის პოლიტიკამ საქართველოს სოფლის მეურნეობა მიიყვანა უფრო კატასტროფულ დეგრადაციამდე. მენშევიკურმა მთავრობამ მოინდომა საქართველოს „ხსნა ოქტომბრის რევოლუციის ხანძრისაგან“ და აიღო გეზი დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნებისაკენ, რათა ამ ქვეყნების კაპიტალი მოეზიდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა საექსპლოატაციოდ; 1918-1921 წლამდე საქართველოში თანმიმდევრობით ბატონობდნენ ოსმალების, გერმანიის, და ბრიტანეთის იმპერიალიზმის შეიარაღებული საოკუპაციო ძალები, რომლებიც უტიფრად ერეოდნენ ამ „სუვერენული ქვეყნის“ საქმეებში. რუსეთის პურის ვრცელ ბაზარს მოწყვეტილმა საქართველომ ვერც თავის პროტექტორატებისაგან... მიიღო სურსათი და თავისი პურეულის დეფიციტით დააღდა სოფლის მეურნეობის განვითარების დამლუპველ გზას.

საქართველოს გლეხობა იძულებული შეიქმნა ეძია სურსათის რესურსები საკუთარ ქვეყანაში, ამიტომ მან უკუაგდო სპეციალური და ტექნიკური კულტურები და პურეულის თესვას მიჰყო ხელი²⁷. მრავალწლიანი ნარგავების თანდათან გავერანებას, მოჰყვა აგრეთვე ბოსტნეული კულტურების განვითარების დაცემაც.

Г. А. СТЕПАНИШВИЛИ

РАЗВИТИЕ ОВОЩЕВОДСТВА В ДОСОВЕТСКОЙ ГРУЗИИ

Резюме

На основе архивных и фактических материалов в труде научно проанализировано состояние и развитие овощеводства до установления Советской власти в Грузии. Особое место уделяется вопросу развития этой половины XIX и начале XX века, а затем в период господства меньшевиков (1918—1920 гг.) В труде подчеркивается, что в досоветской Грузии овощеводство в основном носило не промышленный, а потребительский характер.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სა-მართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის განვითარების გამოცდილების განხორციელებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიის გნყოფილებამ

²⁷ საბჭოთა საქართველოს 10 წელი, ტფ., 1931, გვ. 64.

Г. В. ДУМБАДЗЕ

К ВОПРОСУ О РАЗРАБОТКЕ ИНТЕГРАЛЬНОГО ПОКАЗАТЕЛЯ ЭФФЕКТИВНОСТИ ПРОИЗВОДСТВА

В экономической науке важное место отводится поиску прогрессивных подходов и методов интегральной оценки эффективности общественного производства. В работах, посвященных данной проблеме, высказываются различные точки зрения, предлагаются различные варианты её решения, которые можно объединить в несколько общих концепции: механическую, затратную, ресурсную и затратно-ресурсную. Сторонники механической концепции обобщающий показатель эффективности строят на основе механического соединения в одно целое характеристик различных аспектов хозяйствования (А. И. Ноткин, А. И. Кац, и др.)

Затратная концепция основывается только на потребленной части ресурсов, и ее формула представлена в виде отношения результата (валовой, реализованной, чистой продукции, прибыли...) к затратам совокупного труда, обусловившего этот результат (С. Я. Полянский, З. В. Атлас, В. Я. Иванов и другие).

Ресурсная — на основе всей массы применяемых ресурсов, прелая различные варианты соизмерения и определения суммарного объема ресурсов (В. А. Рябцев, В. Г. Андрейчук, и др.)

Затратно-ресурсная — путем соединения затратного и ресурсного подходов на основе дисконструирования основных фондов с помощью нормативного коэффициента эффективности капитальных вложений (В. В. Новожилов, Т. С. Чачатуров и др.)

Выбор и возможность применения того или иного подхода и метода оценки эффективности непосредственно зависит от того, насколько точно позволяют они отразить коренную сущность и значение самого понятия.

Эффективность — одна из самых популярных социально-экономических понятий, однако четкого и общепризнанного определения её сущности пока ещё не получила¹. Если идти от лексической основы это-

¹ Так, Р. Г. Карагезов считает, что эффективность вообще — это способность достигать нужных результатов с минимальными издержками (Хозрасчет, эффективность и прибыль. Очерки теории. Новосибирск, 1979 г. с. 305). Б. М. Смехов понятие эффективности связывает с выполнением планов и суть её определяет как степень соответствия производственных планов и их реализации конечной цели социализма (Управление и эффективность. М., 1984, с. 10). Г. Мшвиладзе под эффективностью социалистического общественного производства понимает развитие и совершенствование производства в целях обеспечения полного благосостояния и свободного, всестороннего развития всех чл нов общества, путем планомерной её организации (ж. «Экономисти», 1983, № 3, с. 94) и т. д. 5. მაძუე, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1985, № 2

го термина, что очевидно, что эффективность не что иное как результативность (эффект-результат), т. е. результат соизмерений с чем-то, определенный по отношению к чему-то (но не обязательно к ресурсам или затратам, его обусловившим).

Деятельность хозяйственной системы характеризуется её результативностью, отражающей лучшее или худшее качество функционирования с точки зрения достижения объективно существующей цели производства. На основе этого, сущность экономической категории эффективности производства можно сформулировать как выражение производственных отношений между людьми по поводу более результативного, качественного функционирования, направленного а достижение объективно существующей цели производства.

Вместе с тем, эффективность представляется понятием всегда сравнительным (относительным), ибо суждение о ней, о лучшем или худшем качестве функционирования имеет смысл лишь в сравнении двух или более производств.

Что можно сказать, установив, что эффективность в данном производстве выражается, скажем, в 2-х единицах? Только то, что сказано, и не больше. Но если в другом производстве эффективность выражается в 3-х единицах, то можно судить об эффективном функционировании второго производства по отношению к первому.

Таким образом, подход и определенный на его основе показатель эффективности должен отвечать, как минимум, двум требованиям: первое—обеспечивать объективность оценки результативности, качества функционирования и второе—быть сравниваемым (сопоставимым) во времени и пространстве.

Для определения степени соответствия концентрированных показателей эффективности (разработанных на основе выше приведенных подходов), предъявляемым к ним требованиям, рассмотрим конкретный пример. Две хозяйственные системы «А» и «В» характеризуются следующими значениями концентрированного показателя (построенного по любому из производственных подходов): предприятие «А»—10 единиц, «В»—15 единиц.

Прежде всего следует указать, что сопоставление этих показателей имеет смысл лишь для достаточно однородных предприятий одного вида. Для различных же предприятий отдельных подгрупп, групп, подотраслей народного хозяйства возможность подобного сравнения весьма ограничена из-за существенного различия в результатах деятельности и затратах, их обуславливающих.

Кроме того, недостаточно обоснованным и правомерным представляется и вывод о более эффективном функционировании предприятия «В», вытекающий из природы этих показателей, поскольку более высокое их значение может быть обусловлено и более высокими потенциальными возможностями производства (наличием более дешевого или производительного, но дефицитного оборудования, лучшего снабжения

или других внешних факторов), отнюдь не характеризующими более высокое качество функционирования трудового коллектива. Неучет этих возможностей при построении показателя эффективности может привести к совершенно противоположному выводу. Так, если, в нашем примере потенциальные возможности сравниваемых предприятий не равны, — скажем, у предприятия «А»—11 единиц, а у «В»—20, то вывод о более эффективном, качественном функционировании предприятия «В» окажется неверным.

Таким образом, показатели, сконструированные в соответствии с приведенными подходами (без учета существующих потенциальных возможностей) не всегда точно отражают реальную действительность, и возможность их применения в обобщающей оценке эффективности ограничена лишь частным (и весьма редким) случаем равенства потенциальных возможностей сравниваемых хозяйственных систем.

В данной работе делается попытка концентрированной оценки эффективности производства² с позиции более тесного соизмерения имеющихся ресурсов, потенциальных возможностей их использования и фактически достигнутых результатов (возможностный подход) через показатель освоения потенциальных возможностей производства (производственного потенциала).

Под производственным потенциалом нами понимается возможность максимального производства материальных благ при полном использовании ресурсов в существующих на каждый исторический момент, объективных условиях производства. В общем виде величину производственного потенциала можно выразить в формуле:

$$П. П. = П. У. р \times P; \quad (1)$$

где, П. П. — абсолютный размер производственного потенциала;
П. У. р. — интегральная оценка потенциального уровня ресурсоотдачи;
P — объем наличных ресурсов,

Аналогично можно выразить и фактический объем производства ($\Phi. П.$)

$$\Phi. П. = \Phi. У. р \times P; \quad (2)$$

где $\Phi. У. р.$ — интегральная оценка фактического уровня ресурсоотдачи

Отношение фактического объема производства и производственного потенциала характеризует степень использования имеющихся потенциальных возможностей производства и именуется нами индексом производственного потенциала ($J_{п.п.}$).

$$J_{п.п.} = \frac{\Phi. П.}{П. П.} = \frac{\Phi. У. р \times P}{П. У. р \times P} = \frac{\Phi. У. р.}{П. У. р.}; \quad (3)$$

² Здесь и в дальнейшем под эффективностью производства подразумевается эффективность собственно процесса производства материальных благ. Социально-экономическая же эффективность хозяйственной системы (Эффективность функционирования) является вопросом отдельного изучения. Хотя следует отметить, что возможностный подход к ее оценке путем разработки показателя освоения экономического потенциала.

Таким образом, вопрос о разработке индекса производственного потенциала сводится к вопросу о количественном выражении фактически достигнутого и потенциально возможного уровней ресурсоотдачи.

Каждая хозяйственная система характеризуется наличием определенного набора ресурсов, отдача каждого из которых определяется по формуле:

$$h_k = \frac{B}{P_k}; \quad (4)$$

где h_k — показатель отдачи „к“ вида ресурса;

P_k — объем „к“ вида ресурса;

B — объем альтернативно выбранного результата.

Формирование системы показателей ресурсоотдачи — определение состава ресурсов, показателей их объемов и результативного показателя — наиболее полно раскрывающих производственные возможности, необходимо осуществлять в соответствии с конкретными особенностями «хозяйственных систем и поставленной задачей.

Для промышленных предприятий в качестве вида результата, наиболее адекватно отражающего возможности производства, целесообразно применять показатель валовой продукции, поскольку он, во-первых, в отличие от натуральных и условно-натуральных показателей, имеет более широкие возможности сравнения; во-вторых, главным образом определяется условиями производства (выражает возможности собственно производства) и не столь существенно зависит от условий обмена и реализации, как показатели товарной реализованной продукции и прибыли; и, в-третьих, в отличие от показателей чистой продукции отражает использование как трудовых, так и материальных ресурсов.

Совокупность ресурсов, необходимых для осуществления непосредственного процесса производства, прежде всего следует подразделить на трудовые и материальные (основные и оборотные фонды) ресурсы, а также имеющиеся ресурсы времени, в которых необходимо выделить отдельные виды ресурсов, наиболее существенно влияющих на формирование производственных возможностей. Так, в трудовых ресурсах следует выделить: численность основных и вспомогательных рабочих, ИТР и прочих (МОП, служащие, ученики, работники охраны) работающих. В материальных ресурсах: — производственную площадь, количество рабочих мест; машины и оборудования по подгруппам: силовые машины и оборудование, рабочие машины и оборудование, измерительные и регулирующие приборы и устройства и лабораторное оборудование, вычислительная техника и автоматические машины и оборудования; здания, сооружения, производственный и хозяйственный инвентарь; транспортные средства и передаточные устройства; инструменты (учтенные как в основных, так и в оборотных фондах); основные и вспомогательные материалы; объем топлива и энергии, направ-

ленные на технические цели. В ресурсах времени: время, отработанное рабочими, и время, отработанное машинами и оборудованием.

Такой перечень является общим для промышленных предприятий и не исключается возможность его дальнейшего уточнения для отдельных подотраслей, групп, подгрупп и видов предприятий³.

Количество ресурсов и, соответственно, показателей, характеризующих их отдачу, не подлежит ограничению, однако в систему показателей ресурсоотдачи целесообразно включать минимально необходимое их количество, достаточно полно отражающее изучаемое явление.

Надо также подчеркнуть, что при определении производственного потенциала отдельных предприятий важно выдержать принцип однородности и сопоставимости наблюдений. С этой целью в единую совокупность необходимо включать только предприятия одинакового производственного характера, — перерабатывающие одинаковое сырье, вырабатывающее однородную продукцию и имеющие схожие условия производства.

В результате предварительную матрицу наблюдения для определения производственных возможностей можно записать в виде:

	n_1	n_2	...	n_k	...	n_m
A_1	x_{11}	x_{12}	...	x_{1k}	...	x_{1m}
A_2	x_{21}	x_{22}	...	x_{2k}	...	x_{2m}
...
A_i	x_{i1}	x_{i2}	...	x_{ik}	...	x_{im}
...
A_w	x_{w1}	x_{w2}	...	x_{wk}	...	x_{wm}

где A_i — изучаемое однородное предприятие;

h_k — показатель ресурсоотдачи;

w — число единиц совокупности;

m — количество признаков;

x_{ik} — значение признака; „ k “ для единицы „ i “.

Признаки, включаемые в матрицу наблюдения, в неодинаковой степени влияют на формирование производственных возможностей, что обусловлено специфичностью и незаменимостью различных видов производственных ресурсов, отдачу которых они характеризуют. Учет этого обстоятельства можно осуществить путем введения соответствующей

³ Здесь же следует отметить, что для характеристики производственного потенциала мы сознательно не учитываем основные фонды, необходимые для социального развития коллектива, фонды обращения, фонд зарплаты, фонд материального стимулирования и прочие (отражающие социально-экономические аспекты функционирования), считая, что они более необходимы для характеристики экономического потенциала.

щих коэффициентов (позволяющих разделить признаки по их важности), определенных на основе важнейших характеристик многофакторной, регрессионной модели взаимосвязи наличных ресурсов и альтернативно выработанного результата.

Предварительное теоретическое, логическое суждение позволяет выдвинуть гипотезу о возможности выражения взаимосвязи изучаемых явлений уравнениями, либо прямолинейной, либо степенной функции:

$$y = a_0 + a_1 x_1 + a_2 x_2 + \dots + a_m x_m \quad (5)$$

или

$$y = b_0 x_1^{b_1} x_2^{b_2} \dots x_m^{b_m} \quad (6)$$

Оценка предпочтительности уравнения осуществляется на основе таких статистических критериев, как средняя ошибка аппроксимации (А) и коэффициент множественной детерминации (R^2) и стандартная ошибка оценки по уравнению регрессии (бух.) Предпочтение отдается тому типу уравнения, у которого меньше бух. и А и выше R^2 .

Параметры прямолинейной и степенной функций, a_k $k=(1, \overline{m})$ и b_k $k=(1, \overline{m})$ показывают, соответственно, на сколько единиц или на какой процент изменится величина результативного признака при изменении факторного признака на единицу или на один процент. Очевидно, что наибольшее значение параметр a_k b_k будет иметь для ресурса, наиболее существенно влияющего на формирование производственного результата и, следовательно, это наибольшее значение можно взять в качестве базы сравнения для определения искомых коэффициентов (назовем их коэффициентами иерархии и обозначим через λ_k , $k=(1, \overline{m})$.

$$\lambda_k = \frac{a_k}{a_k^{opt}}; \quad \text{или} \quad \lambda_k = \frac{b_k}{b_k^{opt}} \quad (7)$$

где a_k^{opt} и b_k^{opt} — наилучшие значения параметров a_k b_k , определенные как:

$$a_k^{opt} = \max a_k \quad \text{и} \quad b_k^{opt} = \max_x b_k;$$

С учетом коэффициента иерархии значение признака „К“ для единицы примет вид:

$$z_{ik} = x_{ik} \cdot \lambda_k; \quad (8)$$

Коэффициент иерархии, равный единице, будет иметь признак, характеризующий отдачу ресурса, наиболее существенно влияющего на производственные возможности. Все же остальные коэффициенты отличаются от единицы настолько, насколько меньше влияние (значимость) соответственного вида ресурса.

Таким образом, производственные возможности (фактически освоенные) каждого A_i , $i=(1, \overline{w})$ предприятия представляются набором

z_{ik} , $k = \overline{(1, m)}$ признаков. Придание каждому признаку смысла координаты (компонента) позволяет фактическую освоенную производственную возможность рассматривать как мерный вектор z_i с координатами $(z_{i1}, z_{i2}, \dots, z_{ik}, \dots, z_{im})$ назовем его вектором фактической ресурсоотдачи.

Признаки, составляющие компоненты векторов, характеризуются тем, что стимулируют освоение потенциальных возможностей, т. е. чем выше их значение, тем полнее осваивается производственный потенциал. Максимальные их значения представляются в качестве потенциально возможных в существующих условиях производства. Правомерность такого представления вытекает из сущности производственного потенциала, в соответствии с которой его величина должна определяться по отношению к объективно существующим условиям производства. Эта величина отличается от величины производственной мощности, определяющейся на основе прогрессивных норм и нормативов по отношению к идеальным условиям производства настолько, насколько отличаются реальные условия от идеальных. Производственная мощность представляется как идеальная, 100%-ная возможность, реализация которой в реальных условиях конкретного исторического момента может осуществиться на 60, 80, 95 и т. д. процентов, максимальное из которых и рассматривается как потенциальная.

Следовательно, под потенциальной ресурсоотдачей правоммерно рассматривать объективно существующую максимальную величину ресурсоотдачи, которую достигло хотя бы одно из однородных предприятий, функционирующих в сложных условиях производства. Вектор же потенциальной ресурсоотдачи представляется как вектор z_0 с эталонными координатами: $(z_{01}, z_{02}, \dots, z_{0k}, \dots, z_{0m})$

где
$$z_{0k} = \max z_{ik} \quad (9)$$

Векторное представление фактически освоенного и потенциального уровней ресурсоотдачи (Ф.У.р. и П.У.р.) позволяет свести задачу количественного их выражения к простейшей задаче количественного определения вектора. Из известных в математике способов количественного выражения вектора нами отдано предпочтение так называемой евклидовой длине (норме) вектора, определяемой по формуле:

$$|X| = \sqrt{x_1^2 + x_2^2 + \dots + x_n^2} \quad (10)^4$$

Следовательно, длину векторов фактической $|z_i|$ и потенциальной $|z_0|$ ресурсоотдач можно определить, соответственно как:

$$|z_i| = \sqrt{\sum_{k=1}^m z_{ik}^2}; \quad (11)$$

⁴ См., например, Математика и кибернетика в экономике. Словарь-справочник 1975, с. 62.

$$|z_0| = \sqrt{\sum_{k=1}^m z_{0k}^2} ; \quad (12)$$

Полученные выражения и служат основой построения индекса производственного потенциала:

$$J_{n.n.(i)} \frac{\Phi.Y.p.}{\Pi.Y.p.} = \frac{|z_i|}{|z_0|} = \frac{\sqrt{\sum_{k=1}^m z_{ik}^2}}{\sqrt{\sum_{k=1}^m z_{0k}^2}} ; \quad (13)^5$$

Разработанный таким образом показатель, индекс производственного потенциала ($J_{n.n.}$) отвечает основным требованиям, предъявляемым к концентрированному показателю эффективности производства.

Во-первых, позволяет объективно и вполне достоверно оценить результативность производства, её качество путем сравнения фактического и потенциально возможного уровней ресурсоотдачи. Хотя следует отметить, что ряд экономистов, к примеру, Р. М. Петухов и В. В. Волостных, выступают против принятия в качестве базы сравнения наилучших показателей, считая, что они не отличаются устойчивостью (результаты работы лучших предприятий подвержены частным изменениям и чисто статистически не достоверны) и вместо них предлагают использовать общественно необходимые, средние показатели (в их методике затраты ресурсов)⁶. Однако такие доводы против наилучших показателей представляются недостаточно обоснованными, поскольку совершенно не ясно, почему наилучшие показатели являются «чисто статистически недостоверными», если чисто статистически они рассчитываются правильно. Что же касается относительной устойчивости показателей, то именно наилучшие являются наиболее устойчивыми, ибо их изменение возможно лишь при росте потенциальных возможностей, тогда как изменение средней непосредственно зависит от изменения всех фактических показателей. Другими словами, если отдача «к»-го ресурса по ω предприятиям характеризуется $x_{1k}, x_{2k}, \dots, x_{ik}, \dots, x_{\omega k}$ показателями, то наилучший из них, скажем, какой-либо x_{ik}^{pot} гораздо более устойчив, нежели средний, поскольку, следуя методике его расчета,

⁵ Зная $J_{n.n.}$, можно легко определить и абсолютный размер производственного потенциала из формул (1) и (2) — $\left(\Pi.П. = \Pi.Y.p. \times P \text{ и } P = \frac{\Phi.П.}{\Phi.Y.p.} \right) \Rightarrow \Pi.П. = \frac{\Pi.Y.p.}{\Phi.Y.p.} \times \Phi.П. = \frac{1}{J_{n.n.}} \times \Phi.П.$

⁶ Р. М. Петухов, В. В. Волостных. Управление повышением эффективности производства в отрасли. М., 1979, с. 43.

$$\bar{x} = \frac{x_{1k} + x_{2k} + \dots + x_{wk}}{w};$$

величина его (\bar{x}) сразу же реагирует на малейшие изменения любого x_{ik} тогда как наилучший показатель $x_{ik}^{\text{пот}}$ может измениться лишь в случае, если какой-либо x_{ik} превзойдет $x_{ik}^{\text{пот}}$ или возрастет сам $x_{ik}^{\text{пот}}$ т. е. произойдет рост потенциальных возможностей.

Во-вторых, раскрывает широкие возможности сравнения во времени и пространстве, дает возможность однообразной оценки уровня эффективности различных хозяйственных систем на различных уровнях, поскольку определенный как отношение фактического объема производства к потенциально возможному, выражает то общее, что характеризует все хозяйственные системы—освоение имеющихся потенциальных возможностей производства.

В-третьих, имеет ясное количественное выражение и четкий экономический смысл. Показатель $J_{п.п.}$ является величиной постоянной и может варьировать в пределах от 0 до 1 включительно. Интерпретация его следующая: хозяйственная система тем полнее использует существующие потенциальные возможности производства и, соответственно, тем выше его уровень эффективности производства, чем ближе значение показателя к единице и тем менее эффективна, чем ближе его значение к нулю.

И, в-четвертых, индекс производственного потенциала объединяет в себе различные аспекты производственной деятельности, выражающиеся в частных показателях ресурсоотдачи. Он учитывает значимость различных видов производственных ресурсов для формирования производственных возможностей и, следовательно, может быть использован в качестве интегрального показателя эффективности.

Представлена отделом воспроизводства и экономической эффективности капитальных вложений Института Экономики и права АН ГССР



სამართალი

თამარ პარალიძე

არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის საკანონმდებლო რეგლამენტაციის გამო

საქართველოს სსრ სამართლის კოდექსის 236-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისათვის. ამ მუხლით დანაშაულის კვალიფიკაცია გარკვეულ სიძნელებთანა დაკავშირებული, რადგან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტით „არასრულწლოვანთა წაქეზება დანაშაულის ჩასადენად ან არასრულწლოვანთა ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისათვის“ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებადაა გამოცხადებული. ბუნებრივად წამოიჭრება ამ ორი ნორმის გამიჯვნის საკითხი.

იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ „დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის“ შინაარსს. მიუხედავად ამისა, ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ჩაბმა გამოიხატება აქტიურ მოქმედებაში: კერძოდ კი არასრულწლოვანზე აქტიურ ზემოქმედებაში, რომელიც მიმართულია მისი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩათრევისაკენ. ამიტომ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა შეიძლება განესაზღვროთ, როგორც ასაკოვანი პირის ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ არასრულწლოვანს ჩაადენინოს დანაშაული. რა ფორმით მიიღებს არასრულწლოვანი მონაწილეობას დანაშაულში (ამსრულებელი, თანამსრულებელი, დამხმარე და სხვ.), კვალიფიკაციისათვის მნიშვნელობა არა აქვს.

დანაშაულის შემადგენლობის არსებობისათვის არ არის აუცილებელი არასრულწლოვანის რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ჩაბმა. საკმარისია მისი თუნდაც ერთი დანაშაულის ჩასადენად წაქეზება.

მოკავშირე რესპუბლიკების აშუამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსების მიღების შემდეგ ზოგიერთი ავტორი ავითარებდა თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში, 39-ე მუხლში გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებისაგან განსხვავებით, გულისხმობს „განზრახვას დამნაშავედ აქციოს არასრულწლოვანი“, ჩაადენინოს მას არა ერთი, არამედ რამდენიმე დანაშაული.

არასრულწლოვანთა წაქეზება დანაშაულის ჩასადენად და არასრულწლოვანთა ჩაბმა დანაშაულში მონაწილეობისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების სახით შემოღებული იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების 1958 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებით (34-ე მუხლის მე-6 პუნქტი). საფუძველების შესაბამისად მიღებულმა მო-

¹ Комментарий Уголовного Кодекса РСФСР, М., 1963, с. 449; Уголовное право, часть особенная, М., 1966, с. 493; Вопросы борьбы с преступностью несовершеннолетних, Алмата, 1968, с. 42

კავშირე რესპუბლიკების ზინსლის სამართლის კოდექსებმა უცვლელად გაიზიარეს 34-ე მუხლს მე-6 პუნქტის მოთხოვნა. ამავე დროს, შეინარჩუნეს განსაკუთრებული ნაწილის ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებდნენ პასუხისმგებლობას დანაშაულში არასრულწლოვანის ჩაბმისათვის და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ მათი რედაქციული დახვეწით.

236-ე და 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის გამიჯვნისას ზოგ ავტორს ძირითადი აქცენტი გადაჰქონდა ტერმინის „დანაშაულებრივი საქმიანობის“ ეტიმოლოგიურ განმარტებაზე. „საქმიანობა“ გულისხმობს ერთგვაროვანი აქტების რამდენჯერმე ჩადენას. აქედან გამომდინარე, „დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა“ განიხილებოდა ასაკოვანი პირის ისეთ მოქმედებად, რომელიც მიმართული იყო არასრულწლოვანის რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში ჩათრევისაკენ. ამგვარი გაგება გაუმართლებლად ზღუდავს ამ ცნების შინაარსს. ამიტომ ის ვერ გავრცელდება ვერც თეორიაში და ვერც სასამართლო პრაქტიკაში.

შემდგომი წლების ლიტერატურაში თანდათან ფეხს იკიდებს თვალსაზრისი, რომ პასუხისმგებლობა 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის უნდა დადგეს იმ შემთხვევაშიც, როცა არასრულწლოვანი წააქეზეს ერთი დანაშაულის ჩასადენად. ამ გზით მიდის სასამართლო პრაქტიკაც.

ზოგიერთ ცნებათა ეტიმოლოგიური მნიშვნელობა არ ემთხვევა მის სამართლებრივ შინაარსს. ტერმინი „დანაშაულებრივი საქმიანობა“ ნახმარია კანონში არასრულწლოვანის დანაშაულში მონაწილეობის ფორმების მრავალგვარობის მნიშვნელობით (ამსრულებელი, თანამონაწილე, დამფარავი)². არასრულწლოვანმა შეიძლება მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობაში და ა. შ.

გაბატონებული შეხედულების თანახმად, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში ფორმალურ შემადგენლობათა რიცხვს ვანეკუთვნება³. დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმისაგან დამოუკიდებლად, მოახერხა თუ არა დამნაშავემ არასრულწლოვანის ჩათრევა დანაშაულში. საკმარისია მხოლოდ მოქმედების ჩადენა, რომელიც მიმართულია მისი დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმისაკენ.

236-ე მუხლს დიდი გამაფრთხილებელი მნიშვნელობა აქვს. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად უფრო შედეგიანი იქნება ამ მუხლის გამოყენება დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის ადრეულ სტადიაზე, მანამ, სანამ მოზარდს ჯერ კიდევ არ ჩაუდენია დანაშაული. ცხადია, მოთხოვნა, რომ ეს მუხლი უნდა გამოიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირი აბამს არასრულწლოვანს რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში, მეტიმეტად ზღუდავს 236-ე მუხლის გამოყენების ფარგლებს და ასუსტებს მის პროფილაქტიკურ მნიშვნელობას.

შეხედულებამ, რომ არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ საქმიანობაში გულისხმობს განზრახვას დამნაშავედ აქციოს არასრულწლოვანი, ჩაადე-

² Курс советского уголовного права, т. V, М., 1971, с. 365.

³ იხ., მაგალითად, Проблемы борьбы с вовлечением несовершеннолетних в антиобщественное поведение, М., 1981, с. 8; А. А. Примаченок, Проблемы борьбы с преступностью несовершеннолетних, Минск, 1980, с. 192; Комментарий к Уголовному Кодексу РСФСР, М., 1980, с. 398; А. А. Расулев, Уголовно-правовая борьба с вовлечением несовершеннолетних в преступную деятельность. (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук.) Ташкент, 1980, с. 11.

ინონ მას რამდენიმე დანაშაული, ვერ ისახა უმღელესი სასამართლოს პლენუმის ვერც ერთ დადგენილებაში. პლენუმი ყოველთვის იძლეოდა მითითებას, რომ 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული სახეზეა მაშინ, როცა არასრულწლოვანს აბამენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში. კანონის ტექსტი ამ შემთხვევაში ზუსტად არ გამოხატავს მის აზრსა და შინაარსს. ამიტომ ჩვენი აზრით, უკეთესი იქნება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის I ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულში“.

არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმა უმეტესად ხდება წაქეზებით. მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად განმარტავენ „დანაშაულბრივ საქმიანობაში ჩაბმის“ შინაარსს, თითქმის ყველა ავტორი აღიარებს, რომ იგი უსათუოდ მოიცავს წაქეზებას დანაშაულის ჩასადენად. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთნი წაქეზებას დანაშაულში ჩაბმის ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევენ⁴, მეორენი კი თვლიან, რომ ჩაბმა შეიძლება მხოლოდ წაქეზებით⁵. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 39-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ „არასრულწლოვანთა წაქეზებას დანაშაულის ჩასადენად“ მოიცავს 236-ე მუხლში აღწერილი დანაშაულის შემადგენლობა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს სსრ სსკ-ის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტი (აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსკ-ის შესაბამისი მუხლები) დამამძიმებელი გარემოების სახით ითვალისწინებს „არასრულწლოვანთა ჩაბმას დანაშაულში მონაწილეობისათვის“. იბადება კითხვა: რა თანაფარდობაა ამ გარემოებასა და 236-ე მუხლით გათვალისწინებულ მოქმედებას შორის?

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ორივე შემთხვევაში იხმარება ტერმინი „ჩაბმა“. რუსურ სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლში კი ტერმინი «вовлечение» (вовлечение несовершеннолетних в преступную деятельность). ხოლო 39-ე მუხლის მე-6 პუნქტში «Привлечение» (привлечение несовершеннолетних к участию в преступлении).

ამ ტერმინებს შორის ეტიმოლოგიური თვალსაზრისით არის გარკვეული განსხვავება. თუმცა იგი ძალზე უმნიშვნელოა. გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, არასრულწლოვანის ჩაბმა (привлечение) დანაშაულში მონაწილეობისათვის გულისხმობს მის მონაწილეობას თვით სრულწლოვანის ან სხვა პირების მიერ ჩადენილ დანაშაულში თანამსრულეობის ან დამხმარის სახით. დანაშაულბრივ საქმიანობაში ჩაბმა (вовлечение) კი გაცილებით უფრო ფართო შინაარსის ცნებაა. იგი მოიცავს როგორც არასრულწლოვანთა წაქეზებას დანაშაულის ჩასა-

⁴ იხ., შვალთაძე, Перминова А. П. Некоторые вопросы уголовной ответственности за вовлечение несовершеннолетних в преступления и другие антиобщественные проступки. «Вопросы уголовного права, процесса и криминалистики», Пермь, 1949, с. 64; Л. Л. Каневский, О совершенствовании законодательства об ответственности за вовлечение несовершеннолетних в преступную и иную антиобщественную деятельность. «Сборник научных трудов Уфимского факультета Свердловского юридического института выпуск I, Уфа, 1970, с. 137.

⁵ Г. Миньковский, Л. Каневский, Борьба с вовлечением несовершеннолетних в преступную деятельность — важное направление профилактической работы, «Советская юстиция», 1967, № 18, с. 20, 21, П. С. Мартышевский, Ответственность за преступления против общественной безопасности, общественного порядка и здоровья населения, М., 1964, с. 116.

დენად, ასევე მათ მიზიდვას (привлечение) უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულში მონაწილეობისათვის. დამამძიმებელი გარემოების სახით გათვალისწინებული ეს მოქმედებანი, ამ შეხედულების ავტორთა აზრით, რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კერძო შემთხვევა, მისი ჩადენის ნაიჩსახეობაა.⁶

თუ რსფსრ სსკ-ის 210 (საქართველოს სსკ-ის 236) მუხლი მოიცავს 39-ე მუხლის მე-6 პუნქტში გათვალისწინებულ მოქმედებებს, მაშინ გამოდის რომ კანონი ერთსა და იმავე გარემოებას ორჯერ ითვალისწინებს, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტს და როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.

ავტორთა ერთი ჯგუფი თვლის, რომ არასრულწლოვანთა წაქეზებას დანაშაულის ჩასადენად და არასრულწლოვანთა ჩაბმას დანაშაულში მონაწილეობისათვის (39-ე მუხლის მე-7 პუნქტი) თუმცა მოიცავს 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, მაგრამ სასჯელის დანიშვნის დროს იგი მიიჩნევა უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ დამამძიმებელი გარემოების სახით⁷. ამ შეხედულების თანახმად, თუ პირმა არასრულწლოვანი წააქეზა ქურდობის ჩასადენად, იგი პასუხს აგებს 19—150-ე და 236-ე მუხლებით. წაქეზება კი დამამძიმებელი გარემოების სახით უნდა გათვალისწინებული იქნეს არა 236-ე მუხლით სასჯელის განსაზღვრისას (სადაც იგი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნია), არამედ ქურდობაში თანამონაწილეობისათვის სასჯელის განსაზღვრისას. საკითხის ასეთი გადაწყვეტა საბუთდება იმით, რომ სრულწლოვანი პირი ორ სხვადასხვა დანაშაულს ჩადის — ქურდობასა და არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამიტომ „არ შეიძლება კატეგორიულად უარვყოთ ერთი და იგივე გარემოების გათვალისწინების შესაძლებლობა შემადგენლობის ნიშნის სახით და იმედროულად პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების სახით“ — აღნიშნავენ ამ შეხედულების ავტორები⁸.

ასეთივე აზრი იყო ვატარებული რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 26 მაისის დადგენილებაში. დადგენილების მე-3 პუნქტში ნათქვამია: რსფსრ სსკ-ის 39-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებანი მხედველობაში მიიღება სხვა დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს, მაგრამ ეს არ ათავისუფლებს დამნაშავეს, რომელმაც წააქეზა არასრულწლოვანი დანაშაულის ჩასადენად ან ჩააბა იგი დანაშაულში მონაწილეობისათვის, რსფსრ სსკ-ის 210-ე მუხლით პასუხისმგებლობისაგან⁹.

პლენუმის ამ მითითებიდან გამომდინარეობს, რომ არასრულწლოვანის წაქეზებას დანაშაულის ჩასადენად და არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულში

⁶ ლ. კანვესკი, დასახ. ნაშრ., გვ. 137; ე. პერმინოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 61—62—63; Андрусенко Е. А. Уголовная ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступную деятельность. «Актуальные проблемы применения советского законодательства». Душанбе. 1974, с. 85—86, Орлов В. С., Ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступление и антиобщественные поступки. «Вестник московского университета, серия Право, 1968, № 5, с. 33.

⁷ ე. ანდრუსენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 86; ბ. ორლოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 34; Н. И. Трофимов, К вопросу о развитии законодательства об уголовной ответственности за вовлечение несовершеннолетних в преступную и иную антиобщественную деятельность, «Проблемы советского государства и права», Иркутск, 1973, вып. 5, с. 132—133.

⁸ ნ. ტროფიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

⁹ Сб. пост. Плен. ВС РСФСР, 1961—1971 гг., М., 1972, с. 74.

მონაწილეობისათვის (39-ე მუხლის მე-7 პუნქტი) მოიცავს 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც უნდა მხედველობაში მიიღოს სასამართლომ კოდექსის სხვა მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (ვთქვათ, ქურდობაში) თანამონაწილეობისათვის სასჯელის მისჯის დროს.

ერთი და იგივე გარემოების ორჯერ გათვალისწინება შესაბამისად ორჯერ იწვევს სასჯელის ვაზრდას. ვინაიდან არასრულწლოვანის წაქეზება დანაშაულის ჩასადენად დანაშაულის ცალკე შემადგენლობის ნიშანია და პირი პასუხს აგებს დანაშაულთა ერთობლიობის წესით, ცხადია, მას ერთხელ უკვე დაუძმინდა პასუხისმგებლობა. ამიტომ არასრულწლოვანის წაქეზების კიდევ დამამძიმებელ გარემოებად გათვალისწინება ჩვენი აზრით არ არის სწორი და ეწინააღმდეგება სასჯელის დანიშვნის ზოგად საწყისებს.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ეწინააღმდეგება აგრეთვე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ბუნებას. როგორც ცნობილია, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, არ მიეკუთვნებიან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, ისინი შემადგენლობის გარეთ არიან. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გავრცელებული თვალსაზრისის თანახმად, თუ შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება ჩართულია კანონის დისპოზიციაში, როგორც შემადგენლობის ელემენტი, იგი სპეციალურად არ შეიძლება გზითვალისწინოს სასამართლომ სასჯელის განსაზღვრის დროს როგორც შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოება¹⁰. მაგალითად, ანგარებით დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებაა (საფუძვლების 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი). მაგრამ თუ ანგარება დანაშაულის შემადგენლობის არსებითი ან მაკვალიფიცირებელი ნიშანია, მასზე სასამართლომ როგორც დამამძიმებელ გარემოებაზე არ უნდა მიუთითოს. და თუ ეს ასეა, მაშინ დამამძიმებელ გარემოებად არ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას გარემოება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ცალკე შემადგენლობად არის ჩამოყალიბებული.

ზოგიერთი კრიმინალისტი ცდილობს შეზღუდოს საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის გამოყენების სფერო. მაგალითად, სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ავტორების აზრით, „დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა უნდა მიეცეს არასრულწლოვანის დანაშაულში ჩაბმის მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, რომლებიც მიყენებული ზიანის ოდენობით აღემატება კოდექსის 210-ე მუხლით გათვალისწინებულ მინიმალურ ზიანს. მაგალითად, არასრულწლოვანის ჩაბმა მძიმე დანაშაულში და ა. შ.“¹¹

ამ შეხედულებასთან ახლოს დგას ნ. ტროფიმოვის თვალსაზრისი. იგი წერს: „წაქეზება, როგორც შემადგენლობის ნიშანი, აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს, ხოლო როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას, კონკრეტული შინაარსი აქვს. კვალიფიკაციის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს წაქეზების ისეთ კონკრეტულ თვისებებს, როგორცაა წაქეზება ძალიადო-

¹⁰ Карпец И. И. Наказание, М., 1973, с. 197—198С; А. А. Прохоров, общие начала назначения наказания по советскому уголовному праву. (Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата юридических наук), 1972, с. 18; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, თბილისი, 1976, გვ. 214—215, 223.

¹¹ Советское уголовное право, часть общая, м., 1972, с. 374.

ბით თუ ძალადობის გარეშე, ერთი არასრულწლოვანი წააქეზეს თუ რამდენიმე მძიმე დანაშაულზე დაიყოლიეს არასრულწლოვანი თუ მცირემნიშვნელოვანზე, მცირეწლოვანი წააქეზეს თუ 16—17 წლის პირი. ეს გარემოებები გათვალისწინებული უნდა იქნეს კონკრეტული სასჯელის განსაზღვრის დროს¹².

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ სასჯელის დანიშნის დროს ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს შემადგენლობის ნიშნების კონკრეტული შინაარსი. წაქეზების კონკრეტულ თვისებებს (წაქეზება ძალადობით თუ ძალადობის გარეშე, მცირეწლოვანის თუ უფროსი ასაკის პირისა) სასამართლო გაითვალისწინებს დამამძიმებელ გარემოებაზე მითითების გარეშეც, რადგან ისინი განსაზღვრავენ ჩადენილი დანაშაულის ხარისხს. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში ნათქვამია, რომ „სასამართლომ იმის მიმართ სასჯელის ზომის გამოყენების დროს, ვისაც ბრალი მიუძღვის რსფსრ სსკ 210 მუხლით... გათვალისწინებულ დანაშაულში, მხედველობაში უნდა მიიღოს არასრულწლოვანის დანაშაულებრივ... საქმიანობაში ჩაბმის ფორმები და მეთოდები, მოზარდზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი, ასაკოვანისა და არასრულწლოვანის ასაკი, აგრეთვე გამომწვევი საზიანო შედეგები“¹³.

საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლი მოიცავს არასრულწლოვანის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმის ყველა შემთხვევას, იმისაგან დამოუკიდებლად, მძიმე დანაშაულში ჩააბეს იგი თუ მცირემნიშვნელოვანში, ძალადობით დაიყოლიეს დანაშაულის ჩასადენად თუ ძალადობის გარეშე და ა. შ. ცხადია, თუ არასრულწლოვანი წააქეზეს მძიმე დანაშაულის ჩასადენად, სასამართლო საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის გარეშეც უფრო მაკატრ სასჯელს გამოიტანს, ვიდრე მცირემნიშვნელოვან დანაშაულზე წაქეზების შემთხვევაში. ამიტომ ხსენებული ნორმის გათვალისწინება ასეთ შემთხვევაშიც მიზანშეუწონლად უნდა ჩაითვალოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტროფიმოვის და სხვათა შეხედულება ეფუძნება სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოება, რომელიც დანაშაულის შემადგენლობის არსებითი ან მაკვალიფიცირებელი ნიშანია, უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს იმ შემთხვევაში, როცა მას აქვს გამოვლენის ხარისხი, ე. ი. როცა შეიძლება მისი კონკრეტობაცია¹⁴. მაგალითად, ავტოავარიის შედეგად ორი პირის დაღუპვა საფუძველს იძლევა, რომ დამნაშავის მოქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის

¹² ნ. ტროფიმოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

¹³ იხ. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1976 წლის 3 დეკემბრის დადგენილება „სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის და მათი დანაშაულებრივ და სხვა ანტიანაზოვადობრივ საქმიანობაში ჩაბმის საქმეებზე კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“. Сб. пост. Плен. ВС СССР, 1924—1977 гг., ч. 2, М., 1981, 280.

¹⁴ М а л ы х и н В. И. Некоторые вопросы применения, ст. 38, 39 УК РСФСР. «Проблемы эффективности правового регулирования», Куйбышев, 1978, с. 142; А. П. К о з л о в, Отягчающие обстоятельства в советском уголовном праве. (Автореферат кандидат диссерт.) М., 1978, с. 15; Уголовное право, часть общая, М., 1969, с. 312.

241-ე მუხლის მე-4 ნაწილით. თუ ავტოავარიის დროს დაიღუპება 8-10 კაცი, ამ თვალსაზრისის მომხრეთა აზრით, დანაშაულით მძიმე შედეგების გამოწვევა (საქართველოს სსკ-ის 39-ე მუხლის მე-5 პუნქტი) უნდა გაითვალისწინოს სამართლომ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების სახით¹⁵.

ავტორთა უმრავლესობა ამ თვალსაზრისს არ იზიარებს და საფუძვლით სამართლიანად¹⁶. წესი, რომ დამამძიმებელი გარემოება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული მაშინ, როცა იგი შემადგენლობის ელემენტია, უნდა გავრცელდეს ყველა შემთხვევაზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი აზრია გატარებული გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ბულგარეთის სისხლის სამართლის კოდექსებში. მაგალითად, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1968 წლის სსკ-ის 61-ე პარაგრაფის მე-3 პუნქტში ვკითხულობთ: თუ განსაზღვრული გარემოებანი აღფუძნებენ, ამსუბუქებენ ან ამძიმებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, მაშინ რომელიმე ასეთი გარემოების არსებობა არ უნდა იქნეს გათვალისწინებული სასჯელის კიდევ უფრო შემსუბუქების ან გაძლიერებისათვის¹⁷.

ზოგიერთი კრიმინალისტი ცდილობს მონახოს განსხვავება 236-ე და 39-ე მუხლის მე-7 პუნქტში აღწერილ მოქმედებებს შორის მოქმედების მრავალჯერადობით. ასე მაგალითად, რუსის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარების ავტორთა აზრით, წაქეზება როგორც დამამძიმებელი გარემოება, ერთჯერადი აქტია. დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩაბმა კი (236-ე მუხლი) გულისხმობს არასრულწლოვანის მეტ-ნაკლებად ხანგრძლივ „დამუშავებას“¹⁷. ჩვენი აზრით, ეს შეხედულებაც არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. პირზე ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ზემოქმედება ანუ არაერთგზის განმეორებული თხოვნა ჩაიდინოს დანაშაული, წაქეზების ერთ-ერთ საშუალებად ითვლება¹⁸, ე. ი. მას მოიცავს როგორც 230-ე მუხლი, ასევე 39-ე მუხლის მე-7 პუნქტიც. ამიტომ ეს თვალსაზრისიც არ გამოდგება ამ მუხლებს შორის განსხვავების დასადგენად.

იმვე ავტორთა აზრით, არასრულწლოვანის ჩაბმა (привлечение) დანაშაულში მონაწილეობისათვის (39-ე მუხლის მე-7 პუნქტი) გულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როცა ასაკოვანს თავიდან არ ჰქონდა განზრახული არასრულწლოვანის ჩათრევა დანაშაულში. მან ეს გააკეთა გარემოებიდან გამომდინარე, უშუალოდ დანაშაულის წინ ან მისი ჩადენის მომენტში¹⁹. ეს თვალსაზრისიც რაიმე არსებით განსხვავებას 236-ე და 39-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებებს შორის ვერ ასაბუთებს. საეჭვოა, რომ ასეთი არაარსებითი ხასიათის განსხვავებანი გაითვალისწინოს მოსამართლემ, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს საკითხი, თუ როდის გამოიყენოს ერთი მუხლი და როდის მეორე.

¹⁵ ე. მ ა ლ ი ხ ი ნ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

¹⁶ იხ. მაგალითად, ი. ი. კ ა რ პ ე ტ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 197—198; Мельникова Ю. Индивидуализация наказания с учетом обстоятельств характеризующих личность подсудимого. «Советская юстиция», 1957, № 5, с. 14; Советское уголовное право, часть общая, Л., 1972, с. 361.

¹⁷ Комментарий к Уголовному Кодексу РСФСР, М., 1971, с. 103.

¹⁸ Ковалев М. И. Соучастие в преступлении, часть вторая, «Ученые труды Свердловского юридического института», т. V, Свердловск, 1941, с. 79—80.

¹⁹ Комментарий к Уголовному Кодексу РСФСР М., 1971, с. 103.

ჩვენ ვიზიარებთ ა. პერმინოვას აზრს, რომელიც აღნიშნავს, რომ ამ მუხლებით გათვალისწინებულ მოქმედებებს შორის განსხვავების დადგენის ყოველი ცდა ამათა, რადგან ორივე მუხლში ერთგვაროვანი მოქმედებებია აღწერილი²⁰.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ 39-ე მუხლის მე-7 პუნქტი ამოღებულ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსიდან. ეს ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ერთგვაროვნად განხორციელებას. ამ პუნქტის სისხლის სამართლის კოდექსში არსებობა შეიძლებოდა გამართლებულად ჩაგვეთვა 236-ე მუხლის ადრე მოქმედი რედაქციის დროს, რომლის მიხედვით არასრულწლოვანის წაქეზება რაიმე დანაშაულის ჩასადენად ან მისი ჩაბმა დანაშაულის ჩადენაში, თუ ამ მოქმედებისათვის კანონი უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებდა, ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე. ეს მუხლი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს ჩააბამდნენ ისეთ დანაშაულში, რომლისთვისაც კანონი ხუთ წელზე უფრო მძიმე სასჯელს არ ითვალისწინებდა²¹. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულწლოვანი პასუხს აგებდა მხოლოდ იმ დანაშაულში თახამონაწილეობისათვის, რომლის ჩასადენადაც წაქეზა არასრულწლოვანი.

Т. Р. ЭБРАЛИДЗЕ

О ЗАКОНОДАТЕЛЬНОЙ РЕГЛАМЕНТАЦИИ ВОВЛЕЧЕНИЯ НЕСОВЕРШЕННОЛЕТНИХ В ПРЕСТУПНУЮ ДЕЯТЕЛЬНОСТЬ

Резюме

Статья 236 УК Грузинской ССР предусматривает ответственность за вовлечение несовершеннолетних в преступную деятельность. П. 7 ст. 39 УК Грузинской ССР «подстрекательство несовершеннолетних к совершению преступления или привлечение несовершеннолетних к участию в преступлении» признает отягчающим ответственность обстоятельством. На основе сравнительного анализа этих двух норм автор приходит к выводу, что между действиями, предусмотренными ст. 236 и п. 7 ст. 39 УК Грузинской ССР нет никакого различия. В обеих статьях описаны одинаковые действия. Исходя из этого, автор считает целесообразным п. 7 ст. 39 из УК Грузинской ССР изъять, что будет способствовать единообразному осуществлению правосудия.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილებამ

²⁰ Перминова А. П., Некоторые вопросы уголовной ответственности за вовлечение несовершеннолетних в преступления и другие антиобщественные проступки. «Вопросы уголовного права, процесса и криминалистики», Пермь, 1969, с. 64.

²¹ კანონმდებელი გამოდიოდა იქედან, რომ მეორე სასჯელი შთანთქმავდა 236-ე მუხლით გათვალისწინებულ სასჯელს.

დ. Ю. МЕЛИКИШВИЛИ

ПРАВОВЫЕ ВОПРОСЫ ПЕРЕВОДА НАУЧНО-ИССЛЕДОВАТЕЛЬСКИХ, ПРОЕКТНО-ИЗЫСКАТЕЛЬСКИХ И ДРУГИХ СТРОИТЕЛЬНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ НА ХОЗРАСЧЕТНУЮ СИСТЕМУ ЭКОНОМИЧЕСКОГО СТИМУЛИРОВАНИЯ

В решениях съездов, в постановлениях партии и правительства последних лет по хозяйственным вопросам особое внимание уделяется повышению эффективности общественного производства на базе внедрения новейших научно-технических достижений.

Однако в такой важнейшей отрасли народного хозяйства как капитальное строительство внедрение передовой техники и технологии не в полной мере удовлетворяет требованиям современного уровня развития производительных сил. В определённой мере такое положение объясняется недостаточно эффективным правовым регулированием работ по новой технике в капитальном строительстве. В частности, особого правового совершенствования требует действующая система экономического стимулирования научных, проектно-изыскательских и строительно-монтажных организаций, предприятий строительной индустрии в быстрейшем создании, освоении и внедрении достижений науки и техники.

Главные недостатки указанной системы заключаются в том, что она сдерживает распространение хозрасчётных методов премирования за создание и внедрение новой техники, не способствует повышению эффективности деятельности строительных научных и технических организаций, осуществляет материальное поощрение независимо от конечных результатов работы, определяет сложный порядок оформления премий, что нередко способствует неполному использованию средств премиального фонда. Таким образом, нарушается связь между стимулированием создания и внедрения новой техники и конечными результатами её использования.

С целью преодоления указанных недостатков в Минпромстрое БССР, а также в некоторых других строительных организациях образуется и используется единый фонд развития науки и техники; в ряде институтов и трестов „Оргтехстрой“ экономические стимулы увязаны с фактической эффективностью внедрения разработок, проводится эксперимент по усилению роли подрядных организаций в улучшении проектных решений.

Однако изучение практики показывает, что совершенствование

отдельных элементов экономического стимулирования научно-технического прогресса в капитальном строительстве не даёт существенных результатов. Решить проблему можно лишь на основе комплексного подхода, путём создания хозрасчётной системы разработки, освоения и финансирования работ в цикле «наука—техника—производство», обеспеченности, предполагает организацию непрерывного планирования и финансирования работ в цикле «наука—техника—производство», обеспечение экономической заинтересованности всех участников создания, освоения и внедрения новой техники в конечных результатах научно-технического прогресса.

В постановлении ЦК КПСС и Совета Министров СССР «О мерах по ускорению научно-технического прогресса в народном хозяйстве» от 18 августа 1983 г. № 814¹ признано необходимым осуществить в 1985—1987 годах перевод объединений, предприятий и организаций ряда отраслей народного хозяйства, в том числе и строительства, на хозрасчётную систему организации работ по созданию, освоению и внедрению новой техники.

В отраслях промышленности аналогичные системы уже доказали свою эффективность. Например, благодаря их применению в электротехнической промышленности в 1,5—2 раза сократилась продолжительность цикла работ от поисковых и прикладных исследований до освоения производства опытной партии изделий. Среднегодовой темп прироста фондов поощрения за новую технику возрос на 11,3 процента².

Опыт хозрасчётной системы стимулирования работ по новой технике в промышленности показывает, что она имеет и ряд недостатков, которые сдерживают эффективность материального поощрения работников за создание, освоение и внедрение новой техники. К ним относятся: сложность определения индивидуального вклада хозорганов в работы по новой технике, необоснованное расширение или сужение некоторыми правовыми актами круга стимулируемых ими объектов, большой разрыв во времени между работами по новой технике и их стимулированием.

К недостаткам хозрасчётной системы стимулирования работ по новой технике в промышленности, которые следует учесть при переводе на хозрасчёт строительной науки, необходимо отнести также наличие огромного количества ведомственных нормативных актов, которые являются во многих случаях труднодоступными, а в ряде случаев и противоречивыми.

¹ См.: СПП СССР (ред. первый), 1983, № 24.

² См.: Г. А. Горелик, И. А. Городецкая, А. А. Чернова. Методические аспекты перевода научно-исследовательских и проектных организаций строительного профиля на хозрасчётную систему организации работ по созданию, освоению и внедрению новой техники. В кн.: Экономические проблемы НТП в строительстве. (Прогнозирование, планирование, экономическое стимулирование), М., 1983, с. 105.

К сожалению, методические указания о переводе объединений, предприятий и организаций строительства, а также ряда других отраслей народного хозяйства на хозрасчётную систему организации работ по созданию, освоению и внедрению новой техники, предоставили право соответствующим ведомствам в случае необходимости разрабатывать и утверждать особенности применения положений о порядке образования и использования фондов экономического стимулирования.

В соответствии с Типовым положением о премировании работников научно-исследовательских, конструкторских и технологических организаций, переведённых на новую систему планирования, финансирования и экономического стимулирования работ по новой технике, утверждённым постановлением Госкомтруда СССР и ВЦСПС от 30 января 1978 г. № 3115—2, общая сумма премий, включая передачу и использование научно-технических разработок (документации) за создание и выпуск продукции с государственным Знаком качества и новых товаров улучшенного качества не должна превышать для одного работника научно-исследовательской, конструкторской и проектно-технологической организации шестимесячных окладов в год, а для работников строительных организаций и предприятий стройиндустрии—трёх должностных окладов в год³. В отдельных случаях последние могут поощряться и в более крупных размерах. Однако подобное ограничение в премировании представляется неоправданным. По нашему мнению, указанное выше правило следует распространить также и на работников строительных хозорганов.

Успешное выполнение планов по новой технике, а значит, и соответствующее материальное поощрение, зависят от ряда особенностей, вытекающих прежде всего из специфики реализации в капитальном строительстве научно-технических достижений, а также существующей организации управления созданием, освоением и внедрением новой техники.

Значительная доля этих новшеств реализуется через сферу проектирования и потому не находит непосредственного отражения в показателях деятельности строительных организаций. Немаловажное значение имеет и то обстоятельство, что основная часть научно-исследовательских институтов в организационном отношении прямо не связана с проектно-технологическими и строительно-монтажными организациями. Определяющую роль играет также большая продолжительность периода создания, освоения и внедрения новой техники в строительство, вытекающая из длительности самого производственного цикла, в особенности, если это связано с экспериментальным строительством. В хозрасчётной системе работ по новой технике в таких случаях поощрение может производиться в виде аванса путём включения до 30% от

³ Бюл. нормат. актов министерств и ведомств СССР, 1978, № 6.

общей суммы отчислений в стоимость выполняемых научно-исследовательских, конструкторских и проектно-технологических работ. Однако такой размер аванса настолько мал, что по существу не выполняет своей стимулирующей функции. По нашему мнению, размер аванса следует увеличить. Прототипом решения вопроса может служить интересный в этом отношении опыт некоторых социалистических стран. Например, в Болгарии общий размер премий делится на столько этапов, сколько их предусмотрено в техническом задании. Этим достигается заинтересованность работников в ускорении завершения каждого этапа работы. Общий размер премий при этом распределяется по этапам: первый этап—15%, второй—40%, третий—35%, четвертый—10%. Выплата премий в Чехословакии производится после завершения отдельных этапов работ, но размер выплачиваемого аванса составляет не более 65% размера премии, установленной для данного этапа⁴.

В соответствии с указанным постановлением ЦК КПСС и Совета Министров СССР от 18 авг. 1983 г. № 814 строительные объединения, предприятия и организации должны быть переведены на хозяйственную систему организации работ по созданию, освоению и внедрению новой техники на основе заказов-нарядов (договоров).

В заказах-нарядах (договорах) определяются конечные результаты, включая народнохозяйственный экономический эффект, исполнители и сроки выполнения работ на всех этапах—от научных исследований до внедрения результатов в производство, а также необходимые материальные ресурсы, размеры и источники финансирования и материального поощрения работников⁵.

Не вызывает сомнений то обстоятельство, что заказы-наряды являются одной из самых прогрессивных форм связи науки и производства. Однако, принимая во внимание некоторые специфические особенности строительства, следует отметить, что в вопросе материального поощрения строительных хозорганов, принявших участие в получении конечного результата, на практике могут возникнуть и определённые трудности.

В капитальном строительстве в реализации научно-технического прогресса участвуют несколько самостоятельных предприятий и организаций: 1) заказчик; 2) государственная строительная организация; 3) проектная и научно-исследовательская организация; 4) предприятия, изготовляющие строительные материалы и конструкции (строительная индустрия).

⁴ См.: Е. С. Черникова, Прогрессивный опыт организации работ по экономическому стимулированию НТП в зарубежных европейских странах. 1 кн.: Экономические проблемы НТП в строительстве. М., 1983, с. 120.

⁵ См.: Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР от 12. 7. 1979, г. «Об улучшении планирования и усилении воздействия хозяйственного механизма на повышение эффективности производства и качества работы», СПП, 1979, № 18.

Экономисты справедливо считают, что строительство объекта начинается с разработки его проекта⁶. Научно-технический прогресс в проектировании заключается в непрерывном поиске и разработке на основе последних достижений науки и техники новых эффективных планировочных конструктивных и технологических решений, максимально использующих новшества в проектах зданий и сооружений. Применительно к условиям капитального строительства проектирование является одним из наиболее эффективных каналов массового внедрения последних научно-технических достижений. Следовательно, проектно-конструкторская организация является тем звеном в системе организаций, участвующих в реализации научно-технических достижений в капитальном строительстве, где действительно реально закладываются основы будущего научно-технического новшества (здания, сооружения и т. п.).

С другой стороны, для заказчика научно-технический прогресс предполагает выполнение комплекса мероприятий, способствующих ускорению ввода в действие основных фондов и производственных мощностей, а также наращиванию темпов реконструкции действующих предприятий.

Приблизительно такое же участие в реализации научно-технического прогресса принимает и строительная организация, где происходит непрерывный процесс разработки и внедрения комплекса мероприятий, которые позволяют без существенного увеличения численности работающих выполнять объём строительно-монтажных работ с лучшим их качеством.

Действующее законодательство не относит к работам по новой технике многие из тех мероприятий, которые осуществляет заказчик или строительная организация для реализации новшеств, заложенных в проекте. Таким образом, создаётся положение, где проектная организация, осуществив работы по новой технике, получает и соответствующее материальное поощрение, а строительная организация указанного поощрения лишается. Поэтому неудивительно, что строительные организации не заинтересованы в быстрейшем освоении и внедрении научно-технических достижений, заложенных в проекте.

Для решения указанной проблемы представляется целесообразным в заказах-нарядах устанавливать размеры и источники материального поощрения строительно-монтажных организаций, а также их авансирование в счёт премиального вознаграждения, либо соединить, увязать материальное поощрение за выполнение производственных планов с материальным стимулированием выполнения планов работ по новой технике.

Представлена отделом гражданского права Института экономики и права АН ГССР

⁶ См., например: Э. М. Либ и н. Эффективнее стимулировать внедрение достижений науки и техники. «Экономика строительства», 1984, № 10.

პანიკა კვირიკაშვილი

მუშათა ხროვის კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ზოგიერთი შედეგი საქართველოს სსრ მასალის მიხედვით

დამნაშავეობის შესწავლა უცილობლად არის დაკავშირებული მისი მიზეზების, ე. ი. იმ სოციალური მოვლენების გამოვლენასთან, რომლებიც განაპირობებენ მთლიანად როგორც მის, ისე ცალკეულ დანაშაულთა არსებობას. მიზეზობრიობის მარქსისტული მოძღვრებიდან გამომდინარე შეიძლება აიხსნას დამნაშავეობის მიზეზების რთული კომპლექსური ხასიათი, დადგინდეს მათი ურთიერთკავშირი იმ მოვლენებთან და პროცესებთან, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ხდება.

ითვალისწინებს რა დამნაშავეობის კავშირს ანტისაზოგადოებრივი ქცევის სხვადასხვა ფორმებთან, კრიმინოლოგია თავისი კვლევის ჩარჩოებში აქცევს ისეთ სოციალურ მოვლენას, როგორცაა მუქთახორობა: მისი მდგომარეობა, დინამიკა, სტრუქტურა, მიზეზები და ა. შ.

მუქთახორობასთან, როგორც ძველი საზოგადოების ერთ-ერთ გადმონაშთთან, ბრძოლა წარმოადგენს იმ უდიდესი მუშაობის ნაწილს ახალი ადამიანის ფორმირების საქმეში, რომელსაც ატარებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად.

მუქთახორობის, როგორც სოციალური, მოვლენის კვლევა, დამნაშავეობასთან ბრძოლის საერთო პრობლემასთან კავშირში გვევლინება სისხლისსამართლებრივ, შრომა-გამასწორებელ და კრიმინოლოგიურ ასპექტებში, რომლის ამოცანაა დადგინდეს ხარისხობრივი დამოკიდებულება მუქთახორობასა და დამნაშავეობას შორის და მოინახოს მათთან ბრძოლის შედეგებით მიზანშეწონილი ფორმები.

საბჭოთა სისხლისსამართლებრივ და კრიმინოლოგიურ ლიტერატურაში არ მოიპოვება სპეციალური გამოკვლევები მიძღვნილი მუქთახორობისა და დამნაშავეობის პრობლემისადმი. მსგავსი გამოკვლევა არა ჩატარებულა არც საქართველოში, რომელიც ამ თვალსაზრისით მეტად სპეციფიკური რეგიონია.

მოცემული კვლევის ობიექტია მუქთახორობა, როგორც სოციალური სინამდვილის სფერო, რომელიც მოითხოვს მეცნიერულ შესწავლას.

კვლევის საგანია საქართველოს სსრ-ში ჩატარებული, კონკრეტულ კრიმინოლოგიური შესწავლის შედეგად მიღებული ინფორმაცია.

კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ჩატარებისას ჩვენ ძირითად ამოცანად ვისახავდით: მუქთახორის პიროვნების კვლევას, კერძოდ მისი სოციალურ-დემოგრაფიული და კრიმინოლოგიური მახასიათებლების გამოვლენას იმ მიზეზებისა და პირობების კრიმინოლოგიური მნიშვნელობის დადგენას, რომლებიც ხელს უწყობენ ამ ანტისაზოგადოებრივი სოციალური მოვლენის არსებობას.

გამოკვლევის პროცესში გამოყენებული იყო სოციალოგიური კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა: ანკეტირება, ინტერვიუ, საუბრები მსჯავრდებუ-

ლებთან და რაზმის უფროსებთან, მსჯავრდებულთა ბაზათების შესწავლა და სხვა.

საერთო ჯამში გამოკვლეულია საქართველოს სსკ 234-ე მუხლით მსჯავრდებული 400 კაცი, რომელთა გენერალური ერთობლიობა შეადგენდა 1100 პირს, რეპრეზენტატიულობის საშუალო შეცდომა უდრიდა 3,35%-ს, ზღვრული — 6,57-ს.

კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის შედეგებმა საშუალება მოგვცეს გამოგვევლინა საქართველოს სსრ-ში მუქთახორობის წარმომშობი ზოგიერთი მიზეზი და ხელშემწყობი პირობა და მიგვეღო მუქთახორას პიროვნების სავსებით დაწერილებითი დახასიათება ძირითად ნიშანთა სამი ჯგუფის მიხედვით: 1. სოციალურ-დემოგრაფიული, 2. კულტურულ-საგანმანათლებლო და 3. ფუნქციონალურ-ურთიერთობითი.

აღნიშნულ ნიშნებს თავისთავად არ აქვთ კრიმინოლოგიური მნიშვნელობა, რადგან ისინი ასევე ახასიათებს თითოეულ ადამიანს, ადამიანთა ნებისმიერ ჯგუფსა და მთელ მოსახლეობას, მაგრამ აღებულნი სტატისტიკურ გამოხატულებაში იმ პირობებთან მიმართებით, რომლებიც არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, იძლევიან ძალზე მნიშვნელოვან კრიმინოლოგიურ ინფორმაციას.

აღნიშნული თვისებებით მუქთახორების კონტინგენტის დახასიათების სპეციფიკა მთელს მოსახლეობასთან შედარებით საშუალებას გვაძლევს გამოვაგლინოთ ზოგიერთი ის კავშირი და დამოკიდებულება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მუქთახორობის პროფილაქტიკისათვის რესპუბლიკაში, გავიღეთ იმ სიტუაციებზე და გარემოებებზე, რომლებიც ხელს უწყობენ, პიროვნების მოქცევას კრიმინოგენური ზემოქმედების ქვეშ და მასში არასწორი ღირებულებითი ორიენტაციის ფორმირებას.

როგორც ჩვენი განზოგადების საფუძველზე ირკვევა, მსჯავრდებულთა 79,4%-ს, გასამართლებულებს საქ. სსრ სსკ 234-ე მუხლით, შეადგენენ მამაკაცები, ხოლო 20,6%-ს ქალები; თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე დანაშაულის ხვედრითი წილი ქალთა დამნაშავეობის საერთო რიცხვში ძალზედ დიდია და რესპუბლიკაში 1982 წლის მონაცემების მიხედვით შეადგენს 30—5%-ს.

საქართველოს სსრ სსკ 234-ე მუხლით მსჯავრდებულთა ასაკობრივი სტრუქტურის მაჩვენებელმა მოგვცა შემდეგი სურათი: 18—20 წელი—4,4%, 21—24 წელი—9,1%, 25—29 წელი—8,8%, 30—34 წელი 18,2%, 40—44 წელი—29,4%, 45—49 წელი—10,2%, 50 წელი და ზევით—11,8%. მუქთახორების ასაკობრივმა დახასიათებამ საშუალება მოგვცა გვემსჯელა სხვადასხვა ასაკის მუქთახორათა ანტისაზოგადოებრივი ქცევის თვისებურებებსა და მათ კრიმინოგენურ აქტივობაზე, ასეთი კატეგორიის პირთა ასაკობრივ სპეციფიკაზე, რაც ასევე აუცილებელი და საყალბედულია პროფილაქტიკის დაგეგმვისა და ორგანიზაციისათვის.

იმ საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, თითქოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ძირითადად თავს არიდებს ახალგაზრდობა, გამოირკვა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ასეთი კატეგორიის პირთა ძირითად მასას (80%) შეადგენენ 30 წელს გადაცილებული პირები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა ასაკობრივი ჯგუფი 40-დან 44-წლამდე, რომლის ხვედრითმა წილმა შეადგინა 29,4%, ხოლო ზოგიერთ სხვა ჯგუფებში, ისეთებში, როგორცაა 30-დან 34-წლამდე—18,2%.

მიუხედავად იმისა, რომ გამოკვლეულ პირთა 80 %-ის ასაკი აღემატება 30 წელს, მხოლოდ მუქთახორების 1,8 %-ს გააჩნდა შრომის სტაჟი 5 წლამდე, მაშინ როდესაც მათ უმრავლესობას შრომის სტაჟი უნდა ჰქონოდა გაცილებით მეტი ამ მიჩვენებელთან შედარებით. მუქთახორების შრომითი საქმიანობის მონაცემები ადასტურებს, რომ აღნიშნული პირები ადრეც სისტემატიურად არიდებდნენ თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და მათ მიმართ ზემოქმედების ზომები დროულად არ გამოიყენებოდა.

ჩვენს გამოკვლევაში გათვალისწინებული იყო ზოგიერთი დემოგრაფიული ფაქტორი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ რესპუბლიკის მოსახლეობა მუდმივ ცვალებადობაშია როგორც რაოდენობრივად, ისე თავისი შემადგენლობით და გადაადგილებით. ამ ცვლილებათა კანონზომიერების გათვალისწინებას მუქთახორობასთან ბრძოლის ორგანიზაციის თვალსაზრისით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ საქართველოს სსრ-ში მუქთახორობის ხელშემწყობი ზოგიერთი პირობა.

უნდა ითქვას, რომ განათლების საერთო დონე აღნიშნულ პირებს აღმოაჩნდათ მნიშვნელოვნად დაბალი, ვიდრე რესპუბლიკის მოსახლეობას. დაწყებითი განათლება გააჩნდათ 18,5 %-ს, შეიდეკლასიანი — 11,7 %-ს, რვაწლიანი — 23,5 %-ს, საშუალო — 36,8 %-ს, პროფესიულ-ტექნიკური — 4,4 %-ს, საშუალო-სპეციალური — 2,9 %-ს, უმაღლესი — 0,88 %-ს.

ამ კატეგორიის პირთა განათლების დონის მონაცემებმა გვიჩვენა სავესებით შეუწყნარებელი ფაქტი იმ პირთა პარაზიტული ცხოვრებისა, რომელთაც ჰქონდათ საშუალო (36,8 %), პროფესიულ-ტექნიკური (4,4 %) და ზოგჯერ უმაღლესი განათლებაც კი. ასეთი მდგომარეობა, როგორც სჩანს, შედეგია იმისა, რომ სამუშაოდ ახალგაზრდობას ჯერ კიდევ საშუალო, პროფესიულ ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში არასაკმარისად უმუშევრებთან მოთხოვნილება შრომასა და იმ მაღალ მორალურ თვისებებზე, რომლებიც აუცილებელია სოციალისტური წარმოების მომავალი სპეციალისტებისათვის.

გამოკვლევა გვიჩვენებს, რომ მოცემული კატეგორიის სამართალდამრღვევთა განათლების დაბალი დონე აუცილებლად ახდენს გავლენას მის სოციალურ ადაპტაციაზე. მუქთახორებს შორის ნახევარს შეადგენენ პირები, რომლებსაც აქვთ რვაწლიანი და დაწყებითი განათლება. ეს გარემოება განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმასთან დაკავშირებით, რომ ბავშვების მიერ სკოლასთან კავშირის გაწყვეტა და მოსახლეობის ზოგიერთი ნაწილის განათლების გარეშე დატოვება, წარმოადგენს მუქთახორობის, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, დამნაშავეობის წარმოშობა ერთ-ერთ ხელშემწყობ პირობას. როგორც სჩანს, განათლების დაბალი დონე გარკვეულ პირობებში წარმოშობს ვითარებას, რომელიც ზოგიერთს ხელს უწყობს ანტისაზოგადოებრივი განწყობის ფორმირებაში და ამით ზრდის მის საზოგადოებრივ საშიშროებას.

მუქთახორის პიროვნების შესწავლასთან დაკავშირებით ჩვენ უპირველეს ყოვლისა ვცადეთ გავვერკვია ის საკითხი, თუ როგორ ზემოქმედებს ახდენს

მასზე მისივე სოციალური გარემო. როგორც კონკრეტულ-კრიმინოლოგიურმა გამოკვლევამ დაგვანახა საქართველოს სსრ სსკ 234-ე მუხლით მსჯავრდებულთა დაახლოებით ნახევარი მსჯავრდებამდე არ იყო ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და სათანადო აღზრდა ოჯახში არ მიუღია. ნორმალური სრული ოჯახიდან გამოსული აღმოჩნდა მსჯავრდებულთა 18 %, არასრული ოჯახიდან 37 %, ხოლო უდედამამოდ გაიზარდა 18 %.

მსჯავრდებულთა უმრავლესობის მშობლები ან უსწავლელი ან კიდევ დაბალი განათლებისა აღმოჩნდა, რამაც განაპირობა ის, რომ მათ თავის ბავშვებს ვერ მისცეს სათანადო აღზრდა. მსჯავრდებულთა ნაწილმა მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე დაკარგა ყოველგვარი სოციალური კავშირი ახლობლებთან, ნათესავებთან და საერთოდ არ ცდილობენ ამ კავშირის აღდგენას, ისინი ფაქტიურად გარიყულნი არიან საზოგადოებისგან და არ სურთ, ზოგ შემთხვევაში კი არ შეუძლიათ ძლიერი ანტისოციალური მიშვეებულობის გამო, დაემორჩილონ სოციალისტური თანაცხოვრების წესებს, კეთილსინდისიერად იმუშაონ და დაიცვან შრომის დისციპლინა.

¹ მსჯავრდებულთა შორის 61,8%-ს არ გააჩნდათ ოჯახები, ხოლო განქორწინებულთა რაოდენობა 3-ჯერ მეტად აღემატება ასეთსავე მაჩვენებელს, მთელი რესპუბლიკის მოსახლეობისათვის. ასე მაგალითად სრულწლოვან მოსახლეობას შორის განქორწინებულები შეადგენენ 6,8%-ს, მუქთახორებს შორის იგი აღწევს 20,6%-მდე. გარდა ამისა, ამ პირთა 12,9% მართალია, ფორმალურად იმყოფება ქორწინებაში მაგრამ ისინი თავიანთ ოჯახებთან ერთად არ ცხოვრობენ. ოჯახურ-ნათესაური კავშირების უქონლობა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას როგორც კრიმინოგენური ფაქტორი რომელიც ზრდის მათ საზოგადოებრივ საშიშროებას. მუქთახორები ზოგჯერ მოკლებულნი არიან რა მშრომელთა, საკუთარი ოჯახის წევრთა და სხვა პირთა ხარჯზე პარაზიტული ცხოვრების არსებობის შესაძლებლობას, ისინი დროებით არალეგალურ საარსებო საშუალებათა მოპოვების შეუძლებლობის შემთხვევაში, უცილობლად ადგებიან დანაშაულის ჩადენის გზას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლით მსჯავრდებულთა 26%-ს მართალია ჰყავთ ბავშვები, მაგრამ ისინი არამც თუ არ ეხმარებიან მათ მატერიალურად, არამედ პირიქით, ახდენენ უარყოფით ზეგავლენას მათ აღზრდაზე, რაც ქმნის ამ ბავშვების მიერ ანტისაზოგადოებრივი განწყობისა და ჩვევების შექმნის რეალურ საშიშროებას.

მსჯავრდებულთა შორის ნახევარზე მეტი წარსულში სამართალშია ნამყოფი, აქედან ერთხელ—18,26%; 2-ჯერ 20,9%; 3-ჯერ—14,1%, 4-ჯერ—6,17%, 5-ჯერ და მეტად—12,5%; 22,9%—არ ყოფილა სამართალში. არაერთხელ გასამართლებულთა საერთო რიცხვიდან 41,1% მსჯავრდებული იყო მასწავლებლისა და მათხვრობისათვის, მათგან ერთხელ—24%, 2-ჯერ—8%, 3-ჯერ 2,3%, 4-ჯერ 0,3%; 5-ჯერ და მეტად 5 %.

აღნიშნული მაჩვენებლები მეტყველებს იმაზე, რომ მოცემული კატეგორიის პირები განეკუთვნებიან მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების მქონე მუქთახორებს, რომლებსაც გააჩნიათ რა არანაკლებ 3 და 4 ნასამართლობისა, საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს ატარებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ამ პირებმა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში საერთო ჯამში გაატარეს ერთ წლამდე-8,8%, 1 წლიდან-2 წლამდე-8,8%, 2-დან 3 წლამდე 19,6%; 3-დან 5 წლამდე-23,6%, 5-დან 7 წლამდე 12,6%, 7-დან-10 წლამდე 5,8%, 10 წელზე ზევით— 19,2%.

ამ პირთა თავისუფლებაში ყოფნის ვადები ნასამართლობებს შორის ძალზედ მცირეა. ასე მაგ. თავისუფლებაში ყოფნის დროის მონაკვეთი ახალ მსჯავრდებამდე შეადგენდა 2 თვემდე— 1,6%-ს 3 თვემდე—0,8%-ს, 4 თვემდე-3,6%-ს, 5 თვემდე—0,8%-ს, 6 თვემდე—9,6%-ს, 1 წლამდე-18%-ს, 1 წელი და 6 თვე-11,2% 2 წლამდე-17,3-%, 3 წლამდე-14%-ს, 4 წლამდე-10,4%-ს, 5 წელზე ზევით-11,2. ამრიგად, როგორც გამოკვლევის შედეგებმა გვიჩვენა, ამ პირთა 35%-ზე მეტი კვლავ იქნა მსჯავრდებული სხვადასხვა დანაშაულებისათვის მათი განთავისუფლებიდან არანაკლებ ერთი წლის შემდეგ. ჩვენის აზრით, ამ გარემოებას ხელს უწყობს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების არაჯეროვანი კონტროლი იმ პირთა მიმართ, რომლებიც განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან.

უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი მონაცემები მოწმობენ ერთი მხრივ მუქთახორებს შორის ანტისაზოგადოებრივი განწყობისა და ჩვევების მყარ ფესვებზე, ხოლო მეორე მხრივ იმ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომელიც არსებობს მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის პროცესში, მათი შრომითი აღზრდის, თავისუფლებაში გასვლის მომზადებისა და შრომითი და ყოფითი მომწყობის საქმეში ამ პირთა კოლონიებიდან და სპეცკომენდატურებიდან დაბრუნების შემდეგ. უკანასკნელი დასკვნა დასტურდება როგორც ჩვენი გამოკვლევის შედეგებით, ასევე თავისუფლების აღკვეთის ადგილების, ზოგიერთი სპეცკომენდატურისა და ქალაქის რაიონული მილიციის განყოფილების შემოწმების მასალებით.

ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არ არის მოგვარებული ზუსტი ურთიერთკავშირი შრომა-გამასწორებელ დაწესებულებებს, სისხლის სამართლის სამმებროს პროფილაქტიკის სამსახურსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის განყოფილებას შორის, იმ პირთა შრომითი და ყოფითი მოწყობის საქმეში, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიებიდან და მოიხსნენ სპეცკომენდატურების აღრიცხვიდან. კოლონიებიდან და სპეცკომენდატურებიდან არც თუ ისე დროულად და არა ყველა პირზე რომლებიც უნდა განთავისუფლდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან, იგზავნება მილიციის განყოფილებაში შესაბამისი ინფორმაცია, როგორც ამას მოითხოვს სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს 1977 წლის №01710 ბრძანება. თავის მხრივ მილიციის განყოფილებები ზოგ შემთხვევაში არ პასუხობენ შრო-

მა-გამასწორებელი დაწესებულებების წერილებს იმ პირთა შრომითი და ყოფითი მოწყობის შესახებ, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი კოლონიებში და სპეცკომენდატურებში.

გამოკვეთულ პირთა შორის ნასამართლობის მქონეთა მაღალი ხვედრითი წილი მეტყველებს იმ სერიოზულ შეცდომებზე და ნაკლოვანებებზე, რომელიც არსებობს რესპუბლიკის შრომა-გამასწორებელ დაწესებულებების მუშაობაში, შრომითი აღზრდის პროცესის ორგანიზაციის მხრივ. გამოკითხულთა დაახლოებით ნახევარზე მეტმა განაცხადა, რომ სასჯელის მოხდის პროცესში მათ სამუშაო სპეციალობა არ შეუძენიათ. მათგან ზოგიერთმა (21,2%) მიზეზად დაასახელა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის, ხოლო 14%-მა შესაბამისი საწარმოო ბაზის უქონლობა. 16,8%-მა განაცხადა, რომ გამოუმუშავების ნორმას ვერ ასრულებენ საქმარისი სამუშაო ფრონტის, ხოლო 13,5%-მა შესაბამისი კვალიფიკაციის უქონლობის გამო, რომელიც მათ ზემოხსენებული მიზეზებიდან გამომდინარე ვერ აიმაღლეს.

ამ კატეგორიის პირთა რეციდივის მაღალი პროცენტი, ჩვენის აზრით, ასევე შეიძლება აიხსნას იმით, რომ ბევრ მათგანს არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ყოფნისას დაჰკარგეს დადებითი სოციალური კონტაქტები. როგორც გამოკვლევის ანალიზმა ცხადყო, მსჯავრდებულთა თითქმის 80%-ს არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო იმათ, ვისაც გააჩნდა 18,2% იყენენ ქალაქის მაცხოვრებლები, 1,8%-კი სოფლის. ამ მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება თამამად დავასკვნათ, რომ მუქთახორობასთან ბრძოლის პრობლემა ძირითადად წარმოადგენს ქალაქის პრობლემას და მჭიდროდ არის დაკავშირებული ურბანიზაციის პროცესებთან. იმ პირებთან ბრძოლის ორგანიზაციის თვალსაზრისით, რომლებიც ეწყვიან პარაზიტულ ცხოვრებას და არ სურთ შრომითი მოწყობა, ამ კანონზომიერებათა გათვალისწინება არსებითი მნიშვნელობის მქონეა.

ქალაქებში და განსაკუთრებით რესპუბლიკის მსხვილ ქალაქებში, სადაც საცხოვრებელ ადგილზე სოციალური კონტროლი უმრავლეს შემთხვევებში არ არის ეფექტური, მუქთახორების საზოგადოებრივი საშიშროება გაცილებით მატულობს. ქალაქებში პარაზიტული არსებობა უფრო მეტად განაპირობებს საარსებო საშუალებათა მოპოვების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, მაშინ როდესაც სოფლად უფრო მეტი საშუალებებია ლეგალური გზებით საარსებო საშუალებათა მოპოვებისა. ასე, მაგალითად, დამხმარე მეურნეობის წარმოება და სხვა. ამასთანავე სოფლად სოციალური წრე როგორც ყოფილი ისე წარმოების სფეროში შედარებით ერთიანია. ქალაქის მიმართ ამას ვერ ვიტყვი, რადგანაც აქ იგი შედარებით ფართოა და მისი არჩევის დიდ გასაქანს იძლევა. ეს არჩევანი ძირითადად განპირობებულია მუქთახორების ღირებულებით და ზნეობრივი ორიენტაციით.

ქალაქებში და სოფლებში ერთი და იგივე ქცევა ცხოვრებისა და ყოფის სპეციფიკიდან გამომდინარე ვარშემო მყოფთა სხვადასხვა შეფასებას იმსახურებს. ქალაქებში განსაკუთრებით კი მუქთახორებისთვის ფართოვდება ურთიერთობისა და კონტაქტის წრე, მითუმეტეს, მაშინ როდესაც მათ თავისუფალი დროის დიდი რეზერვი გააჩნიათ. და ბოლოს ქალაქებში უფრო ადვილია დამატებითი მეზობლებისა და ნაცნობებისაგან პარაზიტული არსებობა. ასე ჩნდება მუქთახორებისათვის ურთიერთობათა ის პირობები, რომლებიც შემდგომში მათ მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს.

პირები, რომლებიც არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, კერძოდ კი ზემოხსენებული კატეგორია ძალზედ ხშირად ხვდება მილიციის მეთვალყურეობის ქვეშ როგორც წესი, დაკავებისას მათ ათავსებენ მიმღებ-განმანაწილებლებში. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა ის ღონისძიებები, რომლებსაც გამოიყენებენ ეს ორგანოები ამ კატეგორიის პირთა მიმართ. როგორც გამოკვლევა შედეგებმა გვიჩვენა, რესპუბლიკის მიმღებ-განმანაწილებლები ყოველთვის არ დგანან სათანადო დონეზე მუქთახორების მიმართ პროფილაქტიკური ზომების გატარების საქმეში, ცდილობენ რა თავი დააღწიონ აღნიშნული კატეგორიის პირებს, ისინი ძირითადად იფარგლებიან ამ პირთა ვაგზავნით პირვანდელი საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის მიხედვით, დაახლოებით მსაჯრდებულთა 52%-ის მიმართ გამოყენებული იყო ეს ღონისძიება, მსაჯრდებულთა გამო 23,5%-ს არ გაეწია დახმარება ჩაწერასა და ახალი პასპორტის აღებაში, 32,6%-ის კი შრომით მოწყობაში.

მართალია გამოკვლევა მოიცავდა კითხვების ისეთ წრეს, რომლებიც ეხებოდა მუქთახორების შრომით საქმიანობას, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ შევძელით გამოგვეჩინა ამ კატეგორიის პირთა შრომითი ბიოგრაფიის მთლიანი სურათი. ამის მიზეზი იყო ძირითადად ის, რომ, ჯერ ერთი, მსჯავრდებულთა პირად საქმეებში არ იყო მონაცემები მათი შრომითი საქმიანობის შესახებ, მეორეც, გამოკვლევის მსჯავრდებულები იძლეოდნენ აქც თუ ისე სწორ ცნობებს. მიუხედავად ამ სიძნელისა ჩვენ მაინც შევძელით გამოგვეჩინა მათი შრომითი საქმიანობის ზოგიერთი კანონზომიერება.

როგორც გამოკვლევამ დაგვანახა, საქართველოს სსრ სსკ 234-ე მუხლით მსჯავრდებულები ხანგრძლივი დროის განმავლობაში თავს არიდებდნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას და ეწეოდნენ პარაზიტულ ცხოვრებას. ამ თვალსაზრდით საინტერესოს წარმოადგენს მონაცემები იმ დროის შესახებ, რომლის განმავლობაშიც აღნიშნული პირები ოფიციალურ გაფრთხილებამდე არ იყვნენ ჩაბმულნი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ამ მუხლით მსაჯრდებულთა საერთო რიცხვიდან ოფიციალური გაფრთხილების გამოცხადებამდე არ იყვნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმულნი 5 თვემდე მსაჯრდებულთა—38,2%, 6 თვემდე—7,3%, 8 თვემდე—8,8%, 10 თვემდე—8,2%, ერთ წლამდე—11,7%, ერთ წელზე მეტი—32,5%.

მუქთახორებს შორის ისეთ პირთა არსებობა, რომლებიც ერთ წელზე მეტ ხანს არიდებდნენ თავს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მეტყველებს იმაზე, რომ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოები, აღმასკომების შრომითი მოწყობის კომისიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები, ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ მუქთახორების საზოგადოებრივ საშიშროებას და არ ატარებენ გადამჭრელ ზომებს იმ პირთა მიმართ რომლებიც არ არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

მიუხედავად ოფიციალური გაფრთხილებისა, ამ პირთა კატეგორიის ზოგიერთი ნაწილი კვლავ განაგრძობდა პარაზიტულ ცხოვრებას. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაუბმელობის მონაცემები ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ გვიჩვენებს, რომ გაფრთხილების შემდეგ არ მუშაობდა 2 თვემდე 1,1% 2-დან-3 თვემდე-1,4%, 3-დან 4 თვემდე-5,9%; 4-დან 6 თვემდე—20,6%, 6 თვიდან 1 წლამდე—32,3%, 1 წლიდან 2 წლამდე—20,9%, 2 წელზე ზევით—16,1%.

ოფიციალური გაფრთხილება გამოეცხადა ერთხელ—8,9%-ს 2-ჯერ—6,8%, 3-ჯერ—25%-ს, 4-ჯერ—15,2%-ს, 5 და მეტჯერ—44,1%-ს.

ზემოთ მოყვანილი მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჯერ კიდევ აშკარად არ არის ეფექტური პროფილაქტიკის ის ღონისძიებები, რომლებსაც ანხორციელებენ რესპუბლიკის სახელმწიფო ორგანოები და საზოგადოება ამ პირთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრამდე. ამავე დროს ისიც უნდა ითქვას, რომ თვით ამ პირთა კონტინგენტი, ძნელად ექცევა იმ ორგანოების ზემოქმედების ქვეშ, რომლებიც უშუალოდ ებრძვიან ამ სოციალურ ბოროტებას.

პირებს, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, როგორც წესი, ოფიციალური გაფრთხილების შემდეგ სთავაზობენ სამუშაოს სხვადასხვა წარმოებებში, მაგრამ მათი უმრავლესობა მუშაობას არ შესდგამია.

იმ პირებიდან, რომლებიც შეუდგნენ მუშაობას 33,8%-მა იმუშავა ერთ თვემდე, 12,6%-მა 2 თვემდე, 31,8%-მა 3 თვემდე და ა. შ.

აღნიშნული კატეგორია არც თუ ისე დიდხანს რჩებოდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საწარმოებში და ტოვებდნენ რა სამუშაოს კვლავ უბრუნდებოდნენ პარაზიტულ ცხოვრებას. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ აღმინისტრაცია და საზოგადოება უმრავლეს შემთხვევაში არ ღებულობდა გამაფრთხილებელ ზომებს ამ პირთა წარმოებებიდან და დაწესებულებებიდან განთავისუფლების თაობაზე. ასე, მაგალითად, მხოლოდ მსჯავრდებულთა 2,3 %-ს ჩაუტარა აღმინისტრაციამ საუბრები განთავისუფლების წინ, სხვა დანარჩენ შემთხვევებში მათ არავითარი ზომები არ მიუღიათ.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაუბმელობის მიზეზების ანალიზმა გვიჩვენა, რომ მსჯავრდებულთა 50,6 %-ს არ სურდა მუშაობა, ეს პირები არამც თუ არ ცდილობდნენ შეენიღბათ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისადმი რაიმე გამამართლებელი მიზეზებით, არამედ, პირიქით პირდაპირ აცხადებდნენ სურვილს პარაზიტული ცხოვრების მისწრაფებაზე. ეს გარემოება მოწმობს მათ გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე.

იმ პირთა 4,4 %-მა, რომლებიც ცდილობდნენ შრომით მოწყობას. ვერ შეძლეს ამის განხორციელება ფაქტიურად იმ საწარმოს ან დაწესებულების აღმინისტრაციის მიზეზით, რომლებმაც არ ისურვეს რაიმე კავშირი დაეჭირათ წარსულში ნასამართლობისა და შრომის დისციპლინის დამრღვევ პირებთან.

ზოგიერთი საწარმოს ან დაწესებულების აღმინისტრაციის ხელმძღვანელთა მხრიდან გაუმართლებელი, უკანონო და სრულიად დაუსაბუთებელი უარი სამუშაოზე მიღებაზე ჩვენის აზრით სერიოზულ ზიანს აყენებს ამ კატეგორიის პირებთან ბრძოლის საქმეს.

საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაუბმელობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი საერთო საცხოვრებლისა და ნორმალური საყოფაცხოვრებო და შრომითი პირობების უქონლობა წარმოადგენს. აგზავნიან რა მუქთახორებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა საწარმოებში, მათთვის არ ქმნიან შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალურ პირობებს, რაც საბოლოო ჯამში შედეგი ხდება იმისა რომ აღნიშნული პირები მხოლოდ სულ რამოდენიმე თვე ჩერდებიან მოცემულ სამუშაოზე, მერე კი სტოვებენ და კვლავ უბრუნდებიან პარაზიტულ ცხოვრებას. ამაში ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით როდესაც ზემოთ მოგვყავდა სათანადო მონაცემები.

აღნიშნული გარემოება ლაპარაკობს სერიოზულ ნაკლოვანებებზე იმ ორ-

განგებების მუშაობაში, რომლებიც ვალდებულნი არიან მიიღონ ყველა ზომა ამ პირთა შრომითი და ყოფითი მოწყობისათვის.

მუქთახორობასთან ბრძოლის საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ საარსებო წყაროების დადგენას, რომლითაც ცხოვრობდნენ ამ კატეგორიის პირები იმ პერიოდში, როდესაც ისინი არ იყვნენ ჩაბმულნი, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. როგორც გამოკვლევის შედეგებმა დაგვანახა მათგან 8,5% ცხოვრობდა ნათესაების ხარჯზე, 6,8% მშობლების ხარჯზე, 1,8% ნაცნობ მეგობრების, 69,1%-კერძო სამუშაოებით, 12,5%-მათხოვრობით, 11,8%-საყვარლის ხარჯზე, 1,8%-წერილმანი სპეკულაციით.

ჩვენს მიერ ჩატარებული კონკრეტულ-კრიმინოლოგიური გამოკვლევის ანალიზმა ცხადყო, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისაგან თავის არიდება და პარაზიტული ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული ლოთობასა და ქრონიკულ ალკოპოლიზმთან. ურთიერთკავშირშია რა ეს ორი ნეგატიური სოციალური მოვლენა ერთმანეთთან, ისინი უფრო ამტკიცებენ და აღრმავენ ერთიმეორეს. ჩვენზე მონაცემებით გამოკითხულთა ნახევარზე მეტი სისტემატურად ხმარობდა ალკოგოლურ სასმელებს, ზომიერად სვამდა 30 %, ხოლო საერთოდ არ სვავდა 15 %.

გამოკითხულთა ძირითადი მასა მართალია იდგნენ აღრიცხვაზე რესპუბლიკის ფსიქონევროლოგიურ დისპანსერებში, მაგრამ ალკოგოლისაწინააღმდეგო მკურნალობის სრული კურსი საერთოდ არ გაუვლიათ, როგორც აღვნიშნავდით, მსჯავრდებულთა თითქმის ნახევარი წარსულში მიცემულნი იყვნენ პასუხისმგებში ანალოგიური სამართალდარღვევათა ჩადენისათვის, აქედან ბევრ მათგანს შერაცხადობისა და ქრონიკული ალკოგოლიზმის დიაგნოზის დადგენის მიზნით, ჩატარებული ჰქონდა ამბულატორიული და სტაციონალური სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზა.

ჩვენის აზრით, თავად პარაზიტული ცხოვრების არსი, მისი უკონტროლობის გამო უმეტეს შემთხვევაში ამტკიცებს და აღრმავენ ქრონიკული ალკოგოლიზმით დაავადებას.

Б. И. КВИРКАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ РЕЗУЛЬТАТЫ КОНКРЕТНО-КРИМИНОЛОГИЧЕСКОГО ИССЛЕДОВАНИЯ ТУНЕЯДСТВА ПО МАТЕРИАЛАМ ГССР

Резюме

Учитывая связь преступности с иными формами антиобщественного поведения, криминология в рамки своих исследований включает такое социальное явление как тунеядство.

В советской уголовно-правовой и криминологической литературе нет специальных исследований проблемы тунеядства и преступности. Не проводились такого рода исследования и на территории Грузинской ССР, которые представляют собой специфический в рассматриваемом плане регион.

Объектом данного исследования являлось туеядство, как область социальной действительности, требующая научного познания. Предметом исследования-информация, полученная в процессе конкретно-криминологического исследования, проведенного в ГССР.

На основании обобщения обширного материала, полученного в результате исследования, в работе выявляются некоторые причины и условия, порождающие туеядство в ГССР, дается довольно подробная криминологическая характеристика личности туеядца, в основном, по трем группам признаков: 1) социально-демографической; 2) образовательно-культурной и 3) функционально-отношенческой.

Подобные признаки сами по себе не имеют криминологического значения, поскольку они характеризуют каждого человека, любую группу людей и все население в целом, однако взятые в статистическом выражении применительно к лицам, не занятым общественно-полезным трудом, дают ценную криминологическую информацию.

წარმოადგინა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის განყოფილებამ

